ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

11 მარტიდან!
ვფ[ფკბ სფჲ,ფ4 +
სამარხვო კერძები
@ კფჰბ ლფ ^) სტსჰბ




[esif,fsb7 !# vfhnb7 @)!$ 160 (6371) afcb5 #) stshb

# ელიზბარ ჯაველიძე: ღარიბაშვილმა რესპუბლიკელები უნდა მოიშოროს“



გვ.4



## ნაციონალების მერობის კანდიდატი ნიკა მელია იქნება

გვ.5



## პარლამენტი თბილისში სანახევროდ გადმოდის

გვ.4

## გელა ნიკოლაიშვილი: მარიხუანას მოხმარება გარკვეულ ადგილებში, გარკვეული დოზით შესაძლებელი უნდა იყოს“

გვ.3





გვ.5

## გიგი უგულავა: მთავრობა ტოტალურ მოსმენას აწარმოებს“



გვ.6

ირაკლი ალასანია იტალიელ კოლეგას შეხვდება

## ფოთის ნავთობტერმინალის შეძენას რუსული როსნეფტი“ აპირებს

გვ.2



გვ.6

ჯაბა სამუშია გამგებლებს საბოტაჟში ადანაშაულებს



გვ.2

გიორგი მარგველაშვილი: უკრაინის კრიზისი გვაიძულებს, უფრო ფხიზლად ვიყოთ“



ნოდარ ნათაძე: პუტინმა მთავარი იმპერიული ინტერესი წააგო“

გვ.7

ISSN 1987-9385

**5** შოთა აფხაიძე: ნაციონალებმა მაიდნის“ მოვლენების საშუალებით თავიანთი რეაბილიტაცია სცადეს“

**2** ალექსი პეტრიაშვილი: უკრაინაში სამხედრო აგრესიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ნატო-ს ქვეყნების პოზიციაზე საქართველოსთან მიმართებაში“

**6** ვისი მოთხოვნით გააუქმეს ვერტმფრენების შემკეთებელი ქარხანა

# ფოთის ნავთობტერმინალის შეძენას რუსული როსნეფტი“ აპირებს

ნათია ხურცილავა



**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ ებრაელ ბიზნესმენებს შეხვდა. საქართველოსა და ისრაელს შორის 26 საუკუნოვანი ურთიერთობა, ღარიბაშვილის განცხადებით, სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაიზარდა.**

**პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ დიდად სასიხარულოა, რომ ებრაელ ხალხთან ქართველების სამაგალითო მეგობრობის და თანაცხოვრების 26-საუკუნოვანი ისტორია დღესაც გრძელდება.**

პოლიტიკური და მეგობრული განცხადებების გარდა, პრემიერმა პირობაც კი დადო. პირობის ადრესატები ამჯერად ბიზნესმენები იყვნენ.

– სიტყვას გაძლევთ, რომ თქვენ მიერ განხორციელებული ინვესტიციების თითოეული ცენტი დაცული იქნება და გიდასტურებთ ჩემს მზაობას, ვიყო ქვეყანაში სამართლიანი, გამჭვირვალე და უსაფრთხო გარემოს გარანტორი, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა აღნიშნული განცხადება საქართველო-ისრაელის ინოვაციების მეორე ფორუმზე „საქართველო კარიბჭე“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– სიმაყით მინდა აღვნიშნო, რომ დღეს ორ ერს შორის ისტორიული ურთიერთობა ისრაელსა და საქართველოს შორის სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაიზარდა და ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს მთავრობებსა და ხალხს. საქართველოსა და ისრაელს შორის უვიზო რეჟიმის ხელშეკრულების ხელმოწერაც ამის კიდევ ერთი დასტურია, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერმა ასევე გაიხსენა იანვარში ისრაელში ოფიციალური ვიზიტით ყოფნის პერიოდი, სადაც ძალიან კარგად მიიღეს.

– შევხვდი პრეზიდენტ შიმონ პერესსა და პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს. ეს იყო ძალიან საინტერესო და შედეგიანი შეხვედრები, – იხსენებს ღარიბაშვილი.

პრემიერის თქმით, მათ პირობა დადეს, რომ თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება, ორმხრივი ურთიერთობა ყველა მიმართულებით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. როგორც ფორუმზე გახდა ცნობილი, ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის სწორედ ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით გაღრმავდება.

ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ქვეყანაში სამართლიანი, გამჭვირვალე და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს გარანტორი თავად არის. საქართველო ინვესტორებს შესანიშნავ ადგილმდებარეობასა და 900-მილიონიან ბაზარს სთავაზობს.

– მეორე წელია, რაც თბილისში ქართულ-ებრაული ბიზნესფორუმი იმართება. შარშან მას ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად დავესწარი. ებრაელ ხალხთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს და 26-საუკუნოვანი თანაცხოვრების ისტორია დღესაც გრძელდება. სასიამოვნოა, რომ ის სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაიზარდა, რაშიც ჩვენი ქვეყნების მთავრობებმა და ხალხებმა დიდი წვლილი შეიტანეს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ბიზნესმენებს განუცხადა, რომ ახალი ხელისუფლების პრიორიტეტი კანონის უზენაესობა და კერძო საკუთრებით დაცვაა. მთავრობა ძალღონეს არ იშურებს, რომ საქართველო ბიზნესსაქმიანობისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ ქვეყნად იქცეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო ინვესტირებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობების ფართო არჩევანს ქვეყნის ისეთ სწრაფად მზარდ სფეროებში სთავაზობს, როგორებიცაა: ჰიდროენერგეტიკა, ტურიზმი, მრეწველობა, რეგიონული მომსახურება, ლოგისტიკა და აგრობიზნესი.

ღარიბაშვილიმა პრესას განუცხადა, რომ ყველაფერი კეთდება, რათა საქართველო ბიზნესის წარმოებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ქვეყანა გახდეს.

პრემიერ-მინისტრმა ყურადღება საქართველოს განსაკუთრებულ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ქვეყანას ინვესტორებისთვის 900-მილიონიანი ბაზრის შეთავაზების შესაძლებლობას აძლევს, შეღავათების ზოგადი სისტემა რვა ქვეყანასთან, ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა 2014 წლის სექტემბრიდან და თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასა და თურქეთთან.

ღარიბაშვილის განმარტებით, კანონის უზენაესობა და კერძო საკუთრების დაცვა ხელისუფლების პრიორიტეტია და მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ საქართველო ბიზნესის წარმოებისთვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ ქვეყანად იქცეს.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველო, ინვესტირებით დაინტერესებულ პირებს ქვეყნის ისეთ სწრაფად მზარდ სფეროებში, როგორიცაა ჰიდროენერგეტიკა, ტურიზმი, მრეწველობა, რეგიონალური მომსახურება, ლოგისტიკა და აგრობიზნესი ბიზნესშესაძლებლობების დიდ არჩევანს სთავაზობს.

– მოგეხსენებათ, საქართველო-ისრაელის თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებაზე მიმდინარეობს მუშაობა და დარწმუნებული ვარ, შედეგებს უახლოეს მომავალში მივაღწევთ. ინვესტორებს ვთავაზობთ – მყარ სუვერენულ ბალანსს, ლიბერალურ საგადასახადო სისტემას, რაც გულისხმობს დაბალი გადასახადების მხოლოდ ექვს ფიქსირებულ ტიპს; კონსერვატიულ საბანკო სექტორს, განვითარებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას ვაჭრობის, ლოგისტიკისა და წარმოებისათვის, რაც მოიცავს მულტიმოდალურ საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო კომუნიკაციებს, კონკურენტული ფასებით და სტაბილურად მიწოდებულ ენერგორესურსებს, კვალიფიციურ სამუშაო ძალას კონკურენტული ტარიფებით. – განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილის თქმით, საქართველოში კანონის უზენაესობა და კერძო საკუთრების დაცვა ხელისუფლების პრიორიტეტია.

– მას შემდეგ, რაც ჩვენი პოლიტიკური გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა, მთავრობის დებულებად და პრიორიტეტად გამოცხადდა კანონის უზენაესობა და კერძო საკუთრების დაცვა. ჩვენი მთავრობა ძალღონეს არ იშურებს, რომ საქართველო იქცეს ბიზნესის წარმოებისთვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ და სამაგალითო ქვეყნად. საქართველო ინვესტირებით დაინტერესებულ პირებს ბიზნესშესაძლებლობების დიდ არჩევანს სთავაზობს, ქვეყნის ისეთ სწრაფად მზარდ სფეროებში, როგორიცაა ჰიდროენერგეტიკა, ტურიზმი, მრეწველობა, რეგიონული მომსახურება, ლოგისტიკა და აგრობიზნესი. ამასთან, მოგეხსენებათ, მიმდინარეობს მუშაობა საქართველო-ისრაელის თავისუფალ სავაჭრო ხელშეკრულებაზე და დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში მივაღწევთ შედეგებს. ინვესტორებს ვთავაზობთ მყარ სუვერენულ ბალანსს, ლიბერალურ საგადასახადო სისტემას, რაც გულისხმობს დაბალი გადასახადების მხოლოდ ექვს ფიქსირებულ პირს, კონსერვატიულ საბანკო სექტორს, განვითარებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, ვაჭრობის, ლოგისტიკისა და წარმოებისთვის, რაც მოიცავს მულტიმოდალურ საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო კომუნიკაციებს, კონკურენტული ფასებით და სტაბილურად მიწოდებულ ენერგორესურსებს, კვალიფიციურ სამუშაო ძალას კონკურენტული ტარიფებით, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გუშინ გამართულ ფორუმს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე და კომუნიკაციების სფეროში მომუშავე ცნობილი ისრაელური კომპანიების წარმომადგენლები მონაწილეობენ. წლევანდელი ბიზნესფორუმის ძირითად მიმართულებას სწორედ კომუნიკაციები და კომუნიკაციების სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაა.

ფორუმზე, როგორც აღვნიშნეთ, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილიც იმყოფებოდა. მისგან ჟურნალისტებს ფოთის ნავთობტერმინალის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე აინტერესებდათ კომენტარი.

კვირიკაშვილი აცხადებს, რომ ფოთის ნავთობტერმინალის საკითხზე მოლაპარაკებებში პირდაპირ ჩართული არ არის.

კვირიკაშვილი ამბობს, რომ ფოთში არსებული ნავთობტერმინალის შეძენაზე რუსულ კომპანია „როსნეფტსა“ და ბიზნესმენ დავით იაკობაშვილს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში პირდაპირ ჩართული არ არის.

– ამ მოლაპარაკებებში არ ვმონაწილეობ. მათ შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ჩემთვის განცხადებების დონეზეა ცნობილი, მაგრამ პირადად ჩართული არ ვყოფილვარ, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, „როსნეფტი“ ფოთის ნავთობტერმინალის შეძენას აპირებს.

# გიორგი მარგველაშვილი: უკრაინის კრიზისი გვაიძულებს, უფრო ფხიზლად ვიყოთ“



პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, უკრაინის კრიზისი საქართველოს აიძულებს, უფრო ფხიზლად იყოს. მარგველაშვილმა ამის შესახებ AFP-სთან ინტერვიუში განაცხადა.

მარგველაშვილი ინტერვიუში ყურადღებას ყირიმში მიმდინარე მოვლენებზე ამახვილებს. მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოების მარცხმა, რუსეთი 2008 წელს საქართველოში შემოჭრისთვის დაესაჯა, მოსკოვს აფიქრებინა, რომ ყირიმის მიტაცებაც შერჩებოდა.

„ის ფაქტი, რომ 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში ხორცშესხმულ სცენარს, რომლის მიხედვითაც სამხედრო ძალით სუვერენული ქვეყნის ტერიტორიები მიიტაცა, იგი 2014 წელს სხვა ქვეყანის მიმართ იყენებს, ადასტურებს, რომ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ვერც ჩვენ და ვერც ჩვენმა პარტნიორებმა ვერ შევძელით რუსეთს წინ აღვდგომოდით.

დღეს შეგვიძლია სინანულით განვაცხადოთ, რომ ჩვენ და მსოფლიო თანამეგობრობამ ვერ შევძელით ამ ექვსი წლის განმავლობაში გვეიძულებინა რუსეთი გაეცნობიერებინა ის, რომ მსგავსი ქმედებები არასწორი და არაეფექტიანია“ – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისი თქმით, რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები, როგორიცაა, მაგალითად, ყირიმის მცხოვრებლებისთვის რუსული პასპორტების დარიგება, არის 2008 წლის ომის პერიოდში გამოყენებული ტაქტიკის გამოძახილი.

საქართველოს პრეზიდენტი საერთაშორისო საზოგადოებას ამჯერად უფრო მკაცრი რეაგირებისაკენ მოუწოდებს, რათა მომავალში კრემლმა რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო აგრესიის განხორციელება ვერ შეძლოს.

მარგველაშვილის თქმით, უნდა მოხდეს აშკარა და ძლიერი საპასუხო ქმედებების ფორმულირება, რაც ნიშნავს იმას, რომ მსგავსი სცენარები აღარასდროს განმეორდება და გავლენის სფეროების გადანაწილების „რუსული“ იდეა ჩავარდება.

**ნიუსპრესი**

# ბაზა ლეზერნიკზე“ ქართველი სამხედროების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო

ავღანეთში აისაფ-ის მისიაში მონაწილე 31-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა ბაზა „ლეზერნიკზე“ თავიანთი ნახატებისა და ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა მოაწყვეს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიება სამხედრო ბაზაზე მდებარე შემეცნებით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში გაიმართა.

უწყების განმარტებით, სამხედროების მიერ შესრულებულ ნამუშევრებზე პეიზაჟები, რელიგიური და სხვადასხვა თემატიკის კომპოზიციებია ასახული. ასევე, ნაქარგები და პენოპლასტით, ქვიშით, ქვებითა და ფეხსაცმლის თასმებით შექმნილი ტაძრის მაკეტები გამოფენილია.

31-ე ბატალიონის მეთაურის, ვიცე-პოლკოვნიკ გიორგი მეშველიანის გადაწყვეტილებით, გამოფენილი ნახატები ბაზა „ლეზერნიკზე“ შემეცნებით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში დარჩება და მომავალში მათ რიცხვს, ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მიერ შექმნილი ახალი ხელნაკეთი ნივთები დაემატება.

სამხედრო მოსამსახურეებმა ნახატებსა და ხელნაკეთ ნივთებზე თავისუფალ დროს ბაზა „ლეზერნეკის“ შემეცნებით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრში იმუშავეს. ცენტრში მათ ასევე, აქვთ საშუალება სატრენაჟორო დარბაზში ივარჯიშონ, სამკითხველო კუთხეში სამხედრო-ისტორიულ, ლიტერატურულ და თეოლოგიურ წიგნებს გაეცნონ და საველე კინოთეატრში დოკუმენტური, სამხედრო-ისტორიული და პატრიოტული ფილმების ჩვენებას დაესწრონ.

**ნიუსპრესი**



# ალექსი პეტრიაშვილი: უკრაინაში სამხედრო აგრესიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ნატო-ს ქვეყნების პოზიციაზე საქართველოსთან მიმართებაში“

სახელმწიფო მინისტრის ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებში, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, უკრაინაში განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ რეალურად, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ნატო-ს წევრი ქვეყნების პოზიციაზე საქართველოსთან მიმართებაში.

პეტრიაშვილის თქმით, დღეს სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა იხრება იქითკენ, რომ საქართველოს სჭირდება ძალიან პრინციპული, ძალიან კონკრეტული გზავნილი.

,,ეს გზავნილი შესაძლოა, იყოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის გადაწყვეტილი. მიმდინარეობს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ძალიან სერიოზული მონიტორინგის პროცესი“– აცხადებს ალექსი პეტრიაშვილი.

გამოცემა ,,კომერსანტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველომ ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა შესაძლოა უკვე სექტემბერში დაგეგმილ ნატო-ს სამიტზე მიიღოს. გამოცემის ინფორმაციით, აღნიშნულის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება იმაზე იქნება დამოკიდებული, რეფერენდუმის შედეგად შევა თუ არა ყირიმი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
[illegible]
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
[illegible]

## ირაკლი შიხიაშვილი მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობის“ წარმომადგენლებს შეხვდა

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მოძრაობა ,,პარტიზანული მებაღეობის“ წარმომადგენლებს შეხვდა. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი და საკანონმდებლო ორგანოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ფირუაშვილი მოძრაობა „პარტიზანული მებაღეობის“ წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომლებიც უკვე 2 თვეა, ვაკის პარკში ყოფილ რესტორან „ბუდაპეშტის“ ტერიტორიაზე შვიდსართულიანი სასტუმროს მშენებლობას აპროტესტებენ.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ აქციის მონაწილეებს განუმარტა, მერიის მხრიდან ანალოგიურ ფართებზე ისე ხდებოდა მშენებლობის ნებართვების გაცემა, რომ საზოგადოებრივი ინტერესი არ იყო შესწავლილი.

,,ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა გარემო. ბიზნესი კარგია, მაგრამ უჰაეროდ ცხოვრება შეუძლებელია“,– განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა და ვითარების ძირეულად შესასწავლად აქციის მონაწილეები 14 მარტს საკრებულოში დაიბარა.

საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის თქმით, შეხვედრაზე მოძრაობის წევრებთან ერთად მიწვეულნი იქნებიან შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები, სადაც მხარეებს საშუალება ექნებათ იმსჯელონ და კანონის ფარგლებში მინიმუმადე დაიყვანონ აღნიშნული პრობლემა, ისე, რომ არც ინვესტორი დაზარალდეს და არც გარემო.

საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე არასწორად მიიჩნევს ვაკის პარკში რაიმე ობიექტის განთავსებას და აცხადებს, რომ მიმდებარე ტერიტორია თბილისელებისთვის მოსასვენებელ ადგილს ექვემდებარება.

როგორც კახაბერ ფირუაშვილმა აღნიშნა, ინვესტორისთვის სხვა ფართის შეთავაზება მერიის პრეროგატივაა, თუმცა საკრებულოს დეპუტატები სხდომაზე აუცილებლად წამოაყენებენ ამ საკითხს და თბილისის მთავრობას მშენებლებისთვის ალტერნატიული მიწის გამოყოფას სთხოვენ.

**მედიანიუსი**

## გედევან ფოფხაძე: სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ფასი დააწესოს ისეთ რაღაცაზე, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს“

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი გედევან ფოფხაძე აიდი ბარათის აღებას არ აპირებს, რადგან მიიჩნევს, რომ იგივე ფუნქციას საზღვარგარეთის პასპორტი ასრულებს. ამის შესახებ მან „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრის განცხადების საპასუხოდ განაცხადა.

„იმედი მაქვს, რომ არავის არ ჰგონია, რომ ვფიქრობ, აიდი ბარათებში რამე ან ვინმე ზის. ჩვენ უფლებრივად უნდა ვისაუბროთ ამ საკითხზე და არა იმაზე, თუ ვის რა გონია აიდი ბარათში რა ან ვინ ზის. საერთოდ არ მაქვს არანაირი პოზიცია აიდი ბარათებთან დაკავშირებით. არ მჭირდება და არ ვღებულობ. მაქვს საზღვარგარეთის პასპორტი. ვერ ვხდები, რატომ უნდა აიღოს ადამიანმა აიდი ბარათი, თუ მას აქვს საზღვარგარეთის პასპორტი. იგივე ფუნქციას ასრულებს საზღვარგარეთის პასპორტიც. ამიტომ არ ვაპირებ აღებას და თუ მაინდამაინც იტყვიან, რომ ამაზე ქვეყნის ევროინტეგრაციაა დამოკიდებული, ევროინტეგრაცია ჩემთვის უფრო ღირებულია, ვიდრე ის რამოდენიმე საათი, რომელიც შეიძლება დავკარგო ბარათის ასაღებად. მაშინ ალბათ ავიღებ , მაგრამ ამ საკითხს ბევრი უფლებრივი ხარვეზი აქვს , რომელიც უნდა შეფასდეს. ირონია ამ საკითხზე ადეკვატურად არ მიმაჩნია“, – აღნიშნა გედევან ფოფხაძემ.

ამასთან დეპუტატი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ფასი დააწესოს ისეთ რაღაცაზე, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს, რადგან არ შეიძლება ეს კომერციის საგანი იყოს.

„პირველ რიგში, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ თუ ალტერნატივას არ ვთავაზობთ, მაშინ რასაც ვთავაზობთ, ის უნდა შევთავაზოთ ან უფასოდ ან სიმბოლურ ფასად. თუ იქნება ალტერნატიული ჩვეულებრივი მოწმობა, რომელიც 2,50 ეღირება და 50 ლარი იდ ბარათი, მე გამოვრიცხავ, რომ ვინმემ აიღოს იდ ბარათი. იდ ბარათი მჭირდება, რომ ჩემი პიროვნება დავადასტურო. თუ ამის გაკეთების საშუალება მე მაქვს 2, 5 ლარად, ამას არ გავაკეთებ 35 ლარად“,- დასძინა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა.

**მედიანიუსი**

# გელა ნიკოლაიშვილი: მარიხუანას მოხმარება გარკვეულ ადგილებში, გარკვეული დოზით შესაძლებელი უნდა იყოს“

ნონა ცაბაძე

**საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ გარკვეული კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმება აღარ გაფორმდება. ეს ინფორმაცია მთავარმა პროკურორმაც დაადასტურა. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამის თაობაზე ადვოკატები. „ახალი თაობა“ აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს ესაუბრა:**

***– როგორც ადვოკატის, როგორია თქვენი შეფასებები აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე? იცით, რომ გარკვეული კატეგორიის დანაშაულობებზე საპროცესო შეთანხმება აღარ გაფორმდება...***

– მე ვფიქრობ, რომ ეს მაინცდამაინც დიდი შედეგის მომტანი არ იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში, თუმცა მოკლე ვადაში შეიძლება ამან გარკვეული შედეგები გამოიღოს და რეპრესიული ზომების გატარების გზით, გარკვეულად შემცირდეს იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთი და იგივე კონტინგენტი ხდება ძირითადად ამ ნარკოტიკული დაკავებებისა და მათთვის ჯარიმების გადახდევინება, თუ ეს კონტინგენტი იქნება შესული ციხეებში, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა პირველ პერიოდში, გარკვეული კლება იყოს ნარკო დანაშაულობების. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მე არ მგონია, რომ ეს წარმატების მომტანი იყოს, იმიტომ, რომ როდესაც ლაპარაკია რეპრესიულ ზომებზე, ასეთი ზომები თუ არ არის უკიდურესად გამწვავებული, მასშტაბური და ყოვლის მომცველი, მას, როგორც წესი, შედეგები არ მოაქვს.

***– რას გულისხმობთ?***

– მე ვგულისხმობ, მაგალითად, ისეთ უკიდურეს ზომებს, როგორსაც მიმართავენ არაბული ქვეყნები, ირანი, მალაიზია, საუდის არაბეთი და ასე შემდეგ. სადაც სიკვდილით დასჯაა ნარკოტიკის გრამის მეასედის აღმოჩენისთვისაც კი. ჩვენ გვახსოვს ძალიან კარგად რამდენიმე წლის წინ მალაიზიაში ქართველი მანდილოსნები როგორ დააკავეს და ჩამოხრჩობა როგორ ემუქრებოდათ. ბუნებრივია, ჩვენ ამ მიმართულებით ვერც წავალთ და არც უნდა წავიდეთ. თუ ჩვენ ევროპისკენ მივდივართ, მე ვფიქრობ, რომ უფრო სხვა გზა უნდა ავირჩიოთ, სტრატეგიად უნდა ავიღოთ არა მხოლოდ რეპრესიული ზომების გამკაცრება, არამედ კანონის ლიბერალიზაცია და გარკვეული მსუბუქი ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია.

***– მსუბუქში რას გულისხმობთ?***

– აქ მარიხუანაზეა საუბარი და მის მსგავს ნარკოტიკებზე. თუ ეს იქნება კანონში ასახული, მაშინ რაღაც უბედურებებს – კრაკადილებს, ბენზინითდამზადებულ ბიონარკოტიკებს და რაღაცა საშინელებებს, რომლებიც არა მხოლოდ წამლავს, არამედ პირდაპირ კლავს ადამიანებს, მაშინ ამ ნარკოტიკების ძიება იმდენად აღარ იქნება საზოგადოებაში. აქედან გამომდინარეც მე ვერ მივესალმები ასე გათანაბრებას ერთი ხელის მოსმით, რომ ერთიანად განვიხილოთ, ყოველგვარი ინდივიდუალიზაციის გარეშე დანაშაული, სასჯელი, იმიტომ, რომ ყველა დანაშაულს თავისი გენეზისი აქვს, თავისი საფუძველი აქვს. ჩვენ ეს არ უნდა გამოვრიცხოთ, არ არის არც დანაშაული და არც სასჯელი კოლექტიური, ყოველ დანაშაულზე ცალკე უნდა იქნეს განხილული პირობები, თვითონ პიროვნება რამდენად არის საშიში საზოგადოებისთვის და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, რომ შევაჯამოთ, მთლიანობაში შემიძლია ვთქვა, რომ მოკლევადიანი ეფექტი ამას ალბათ ექნება ტაქტიკური თვალსაზრისით, თუმცა გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით მე არა მგონია, ამან დადებითი შედეგები გამოიღოს. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა, ძალიან დიდი პრობლემა დღეს ეს ნარკოტიკები, მე შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი დაკვირვებით, დაახლოებით 80%-მდე პატიმრებისა, ძირითადად არის ნარკოტიკული დანაშაულისათვის დაკავებული ადამიანები და ეს საშინელებაა, რა თქმა უნდა.

***– იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმაც გააკეთა ამ თემაზე განცხადება, რომ საკმაოდ მკაცრი სასჯელი ემუქრებათ შემომტანებსაც და გადამზიდველებსაც, მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებაც ამის გამოძახილი იყო? ეს ერთობლივი გადაწყვეტილებაა?***

– სავარაუდოდ, ეგრე იყო. ოღონდ აქაც დიფერენციაციაა საჭირო, შემომტანები, გამსაღებლები... რა თქმა უნდა, მათ მიმართ უნდა იყოს მკაცრი სასჯელები, მაგრამ მომხმარებლები, რომლებიც პრაქტიკულად ავადმყოფები არიან და რომლებზეც პასუხისმგებლობას პრაქტიკულად უკვე იღებენ სახელმწიფო სტრუქტურები, ვინაიდან როდესაც ისინი ამბობენ, რომ ჩვენ ეს ხალხი, ყველანი ციხეში უნდა გავუშვათ, ამის შემდეგ ეს ხალხი მათი საპატრონო ხდება. მარტო ციხეში გაშვება ხომ არ არის, იქ უნდა უმკურნალო, პირობები შეუქმნა. რაც მეტია თავისუფლება, პასუხისმგებლობაც მეტია, როდესაც ამ ხალხს აპატიმრებენ, პასუხისმგებლობასაც უზღუდავენ და ამ პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს სახელმწიფო. საინტერესოა, სახელმწიფოს რამდენად გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ ადეკვატური სამკურნალო, საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნას მათ ციხეებში. მე ვიცი, რომ მათ ამის პირობები არ გააჩნიათ. როდესაც არ არის ასეთი პირობები, ეს აუცილებლად გამოიწვევს სიკვდილიანობის გაზრდას. მართალია წინა წლებთან შედარებით სამჯერ და ოთხჯერ შემცირდა სიკვდილიანობის რაოდენობა ციხეებში, მაგრამ ისიც, რაც არის დღესაც, მათი უმრავლესობა სწორედ ნარკოტიკებისგან მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგია. პირდაპირ განადგურებული ორგანიზმები აქვთ ამ ნარკომანებს და ასეთი ბევრი თუ შევა ციხეში, ბევრი მსხვერპლიც იქნება.



***– თქვენი პოზიცია ასეთია, რომ შემომტანების და გამსაღებლების მიმართ კანონი მკაცრი უნდა იყოს, ხოლო მომხმარებლების მიმართ – ლმობიერი, რადგან ისინი ავადმყოფები არიან?***

– დიახ, ოღონდ აქ ლაპარაკია მსუბუქი ნარკოტიკის დეკრიმინალიზაციაზე. ახლა სიგარეტიც მავნებელია, ალკოჰოლური სასმელიც, მაგრამ ისინი იყიდება, აი, ასევე უნდა იყოს დაშვებული, მაგალითად, მარიხუანა. იყოს გარკვეულ ადგილებში, გარკვეული დოზით და შესაძლებელი უნდა იყოს მისი მოხმარება. მისი მოხმარებისთვის არ უნდა იყვნენ დაკავებულები, შესაძლებელია მხოლოდ გამკაცრდეს კანონი იმ მიმართულებით, რომ ნარკოტიკებით თრობის ქვეშ ჩადენილი დანაშაული, ითვლებოდეს დამამძიმებელ გარემოებად. როგორც ეს არის, მაგალითად, სიმთვრალის დროს. სიმთვრალისას ჩადენილი დანაშაულისას სიმთვრალე ითვლება დამამძიმებელ გარემოებად. ასევე შესაძლებელია, რომ იგივე დაწესდეს ნარკოტიკული თრობის დროს ჩადენილი დანაშაულის მიმართაც.

***– თქვენთვისაც ცნობილია, რომ ამ რამდენიმე კვირის წინ საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი ამ ბიონარკოტიკებთან დაკავშირებით, ხელისუფლებას მოუწოდებდნენ კანონის გამკაცრებისკენ. იცით, რომ იმატა გარდაცვალების ფაქტებმაც. როგორ ფიქრობთ, ამის გამოძახილია ეს ყველაფერი და რამდენად არის შესაძლებელი, რომ მოხდეს ბიონარკოტიკის აკრძალვა?***

– ნარკოტიკი ისედაც აკრძალულია. დანაშაულად რომ ითვლება, იმიტომაც არის პატიმრობა, თორემ, აკრძალული რომ არ იყოს, არც იქნებოდა სასჯელი. მე იმას ვამბობ, რომ მარტო აკრძალვებით ჩვენ ფონს ვერ გავალთ. ჩვენ ვებრძვით შედეგებს და არა მიზეზებს. მიზეზებს უნდა ვებრძოლოთ, თორემ შედეგებთან ბრძოლა საბოლოო ჯამში ყოველთვის წარუმატებელია. კი, ვიღაცა სასტიკად ისჯება, ვიღაცა ნაკლებად, ვიღაცა განიკურნება, ვიღაცა – ვერა, მაგრამ მთლიანობაში ეს ხომ პრობლემას არ მოხსნის?! სხვანაირი მიდგომაა აქ საჭირო. ერთი მხრივ, გამკაცრების პოლიტიკაც უნდა იყოს, გარკვეულ კატეგორიაზე და მეორე მხრივ, უნდა იყოს ლიბერალიზაცია ასევე გარკვეულ კატეგორიებზე, რომ რაღაცნაირად დაბალანსდეს. ეს მსოფლიო პრობლემაა, მარტო ჩვენ არ გამოგვიგონია და მხოლოდ ჩვენთან არ არის. მსოფლიოში ამას სხვადასხვანაირად ებრძვიან. აღვნიშნე კიდეც, როგორ ებრძვიან ამას მუსულმანურ ქვეყნებში და როგორ ებრძვიან ევროპაში. ევროპაში ცოტა სხვა მიდგომაა და გარკვეული ტიპის ნარკოტიკები არის ლეგალიზებული და როგორც ამბობენ სპეციალისტები, ექიმები, ექსპერტები, ეს გარკვეულად ხელს უწყობს იმას, რომ იმ მძიმე ნარკოტიკისკენ აღარ არის მიდრეკილება, ბინძური ნარკოტიკისკენ აღარ არის მიდრეკილება. ბინძურ ნარკოტიკს ეძახიან სწორედ ამ ბიოს, ე.წ. კრაკადილს და სხვა ათას უბედურებას. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, მარიხუანა გადის მსუბუქი ნარკოტიკების კატეგორიაში. მაგალითად, მძიმე ნარკოტიკებში გადის კოკაინი, რომელიც ყველაზე ძვირი ნარკოტიკია, ის ჩვენთან არ არის. იმიტომაც არ არის ჩვენთან, რომ ყველაზე ძვირია. ასევე მძიმე ნარკოტიკებში გადის სუბოტექსი, მძიმე ნარკოტიკებში გადის ჰეროინი. მეც არა ვარ ამის სპეციალისტი, თუმცა როგორც სპეციალისტები აცხადებენ, უნდა მოხდეს დიფერენციაცია.

***– ბატონო გელა, მოდით, კიდევ ერთ თემას შევეხოთ, საუბარია, რომ ცე ჰეპატიტით დაავადებულ პატიმრებს სახელმწიფო სრულიად უფასოდ უმკურნალებსო. ეს საკმაოდ კარგი ნაბიჯია ხელისუფლების მხრიდან, თქვენ როგორც ადვოკატი, როგორ შეაფასებდით ამ ინიციატივას?***

– კი ძალიან კარგი ნაბიჯია, ძალიან ძვირადღირებული და მივესალმები ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგან ისევე როგორც ტუბერკულოზი, ეს ცე ჰეპატიტიც, მოდებული სენი იყო და დღესაც არის ციხეებში. თვითონ ამ კატეგორიის ადამიანების მკურნალობა, უკვე არის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი. ზოგიერთი ნახევრად ხუმრობით ამბობდა, რომ შესაძლებელია გარეთ მყოფმა ცე ჰეპატიტით დაავადებულებმა მოინდომონ ციხეში ჩაჯდომა, იმისათვის, რომ მათ სრულიად უფასოდ უმკურნალონო. ამის მკურნალობა ძალიან ძვირადღირებული სიამოვნებაა, აქედან გამომდინარე, მივესალმები ამას. როგორც ჩვენ გვეუბნებიან, სულ უფრო და უფრო ფართოდ მოიცავს, ფაქტიურად იქ რიგებია, სიმძიმისდა მიხედვით პირველ რიგში ვის უნდა უმკურნალონ და მე ვფიქრობ, რომ თანდათანობით ეს მოიცავს უფრო მეტ და მეტ დაავადებულს და ეს დიდ შედეგს გამოიღებს.

***– ბატონო გელა, საუბრის ბოლოს, მოდით, მთავარი პროკურორის საქმიანობაც შევაფასოთ. თქვენ ყოველდღიური შეხება გაქვთ ამ სისტემასთან, რას ფიქრობთ მის საქმიანობაზე, რამდენად სჯობია მის წინა მორბედს?***

– წინამორბედს, ფარცხალაძეს თუ კბილაშვილს?

***– თუნდაც ორივეს...***

– ძალიან ძნელია შედარება, მე მათი შიდა სამზარეულო არ ვიცი. თუმცა ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ის სტილი, ის მეთოდები, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ სასამართლო პროცესებზე, პროკურატურის წარმომადგენლების პოზიციებს და ზოგადად სასამართლოებზე შექმნილ სიტუაციებს. მე შემიძლია ვთქვა, რომ ზოგადად, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის კადრების უმრავლესობა არ შეცვლილა, 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში, რა თქმა უნდა, გარემო შეიცვალა სასამართლოში, თვითონ პროკურატურის სისტემაში. რაც იმას ადასტურებს, რომ პოლიტიკური ნებაა აქ მთავარი და არა პერსონალიები. რაც შეეხება თვითონ პროკურატურის მართვის სტილს და პროკურორების მოქმედების, კბილაშვილის პერიოდთან შედარებით, სტილი უფრო შეცვლილია. შემდეგ იყო ფარცხალაძე და შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი პროკურატურის მართვის სტილი ამ ორ უკიდურესობას შორის არის. შესაძლოა უფრო გადახრილია ფარცხალაძის პროკურატურის დროინდელი სტილისაკენ. აი, ეს შემიძლია ვთქვა. ცვლილებები არის ნაკლები, თუმცა არის მცდელობა, რომ უფრო სისტემა ჩამოყალიბდეს მთლიანად და არ იყოს ისეთი გარკვეული ქაოსი, როგორც ეს იყო მაგალითად კბილაშვილის პროკურორობის დროს. თუმცა არც ისეთი სასტიკი და საშინელი სისტემაა აწყობილი, როგორც ეს იყო ადეიშვილის დროს. ისე რომ თავისი დამახასიათებელი ნიუანსები ყველასა აქვს და დღევანდელი პროკურატურა, თავისი პლუსებით და მინუსებით არის წარმოჩენილი. თუმცა მე გამიჭირდება დღეს იმის თქმა, რა შეიძლება იყოს მთავარი მინუსი...

***– ალბათ, ძველი კადრები, ბატონო გელა...***

– ეგ თავისთავად. მთავარი მინუსი მართლაც ძველი კადრებია. იმიტომ, რომ რეალურად ამ ადამიანებს ინიციატივა არ გააჩნიათ, შეჩვეულები არიან ძველი მეთოდებით მუშაობას და ზემოდან ისე მიყვებიან დირექტივას, რომ უჭირთ რაღაცა კალაპოტიდან ამოვარდნა, გვერდზე გახედვა. გვერდზე გახედვაში ვგულისხმობ არაორდინარულ გადაწყვეტილებებს და ამ ინიციატივის შეთავაზებას თავიანთი უფროსებისათვის, როდესაც კონკრეტული საქმის მასალები ამას მოითხოვენ. ეშინიათ, რომ რაღაცა გვერდზე გადადგმული ნაბიჯის გამო უფროსობამ არ გაათავისუფლოს სამსახურიდან. ან საყვედური არ უთხრას და ასეთი ნაკლებ ინიციატივიანი პროკურორები, შეიძლება ითქვას, გაუბედავი, მხოლოდ ჩარჩოში ჩასმული და კალაპოტში მოქცეული, ძალიან აზიანებენ საქმეს. რა თქმა უნდა, აზიანებენ თვითონ ბრალდებულის თუ მსჯავრდებულის მდგომარეობს და მათ ნაკლები შანსი ეძლევათ საკუთარი სიმართლის თუ უდანაშაულობის დამტკიცებისა.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

599-90-54-78, 234-02-38

2014, 13 მარტი, №60

შორენა მარსაგიშვილი

# ელიზბარ ჯაველიძე: ღარიბაშვილმა რესპუბლიკელები უნდა მოიშოროს“

**აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე საქართველოში შექმნილ ვითარებას კატასტროფულს უწოდებს. ისევე, როგორც ბევრ სხვას, მასაც დიდი იმედი ჰქონდა, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში ვითარება შეიცვლებოდა. იმედი მასაც გაუცრუვდა, ჯაველიძე შეწუხებულია იმის გამო, რომ ოცნება ნაცმოძრაობას დაემსგავსა. რა მსგავსებაა ყოფილი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, რა როლს თამაშობენ რესპუბლიკელები, რატომ დაატარებენ აქეთ-იქეთ მიხეილ სააკაშვილს, რა ელოდება საქართველოს ამ თემებზე, ელიზბარ ჯაველიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

***— „იმედის“ ეთერში დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ თავის კოლეგებს სახელისუფლებო პარტიიდან უსაყვედურა, რა მალე დაგვემსგავსეთო. თქვენი აზრით, მართლა დაემსგავსა „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას?***

— ძალიან სამწუხაროა, რომ ოცნება ასე მალე დაემსგავსა ძველ ხელისუფლებას. ამ შემთხვევაში ბობოხიძე ნამდვილად არ ტყუოდა. მან თქვა სიმართლე. „ქართული ოცნება“, რომელზეც ხალხი დიდ იმედებს ამყარებდა, ნელ-ნელა იმ ხელისუფლებას ემსგავსება, რომელიც ძლივს მოვიშორეთ. თუმცა ნაციონალებამდე კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ბევრი უკლია. ძველი ხელისუფლება მიზნის მისაღწევად ყველაფერს კადრულობდა, არც ადამიანების დაპატიმრებას ერიდებოდნენ და არც მკვლელობებზე ამბობდნენ უარს. ოცნება ჯერ ასეთ გზას არ ადგას, მაგრამ მათ უკვე ბევრი რამ აქვთ საერთო. ნაციონალებს განსაკუთრებით რესპუბლიკური პარტია წააგავს. ეს პარტია, ძველი ხელისუფლების მსგავსად, ანტიეროვნული საქმეების კეთებაშია შემჩნეული. განსხვავება მათ შორისაც არის. ნაციონალები ყველგან სისხლის კვალს ტოვებენ, ესენი კი ცდილობენ თეთრი ხელთათმანებით იმუშაონ.

***— გამოსდით თეთრი ხელთათმანებით მუშაობა?***

— ჯერჯერობით კარგად და სუფთად აკეთებენ თავიანთ ბინძურ საქმეს. მათ ხელები სისხლით ჯერ არ დაუსვრიათ. ალბათ ასეც გაგრძელდება მომავალში. ყველაზე მეტი უბედურება შესაძლოა სწორედ მათ მოგვიტანონ. ქართველ ხალხს იმიტომ არ უბრძოლია, რომ რესპუბლიკელებს ემართათ ქვეყანა.

***— თქვენი აზრით, დღეს ქვეყანას რესპუბლიკელები მართავენ?***

— მათ დღეს სერიოზული გავლენა აქვთ ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, თავის დროზე ბიძინა ივანიშვილი აიძულეს, რესპუბლიკური პარტია კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შეეყვანა. ამ ხალხს თავიანთი ანტიეროვნული მოსაზრებების გამო, დასავლეთში, განსაკუთრებით კი ამერიკაში, დიდი მხარდაჭერა აქვთ. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ყველაფერს ამერიკა განაგებს. ამერიკის ელჩთან შეთანხმების გარეშე, ელემენტარულ გადაწყვეტილებასაც კი ვერ იღებენ. ჩვენს საშინაო საქმეებში ევროპაც ცუდად ერევა. უბედურებაა, რომ დღეს ქართველს თავისი თავი აღარ ეკუთვნის. საქართველო მხოლოდ ფორმალურად არის დამოუკიდებელი ქვეყანა. სინამდვილეში ასე არ არის. ჩვენთან შედარებით ნამდვილი დამოუკიდებელი ქვეყნებია ამერიკის შემადგენლობაში შემავალი 11 შტატი.

***— რას გულისხმობთ?***

— მოგეხსენებათ, რომ ამერიკა და ევროპა ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას ცდილობენ. ამერიკის 11 შტატმა ერთსქესიანი ქორწინებები კანონგარეშედ გამოაცხადა. ამით მათ თავისი დამოუკიდებლობა გამოავლინეს.

***— თქვენი აზრით, საქართველო ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების წინააღმდეგი ვერ წავა?***

— საქართველო დღეს დამოუკიდებელი არ არის. ჩვენი ხელისუფლება გააკეთებს იმას, რასაც დასავლეთი მოითხოვს მისგან. დასავლეთი კი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ცდილობს. ევროსაბჭო და მსგავსი ორგანიზაციები დღეს ადამიანის თავისუფლების აუცილებლობაზე ქადაგებენ.



***— თავისუფლებაში ცუდი არაფერია ბატონო ელიზბარ?***

— გააჩნია, რას გულისხმობენ ისინი თავისუფლებაში. ამ შემთხვევაში ისინი ცხოველურ თავისუფლებას გულისხმობენ. ადამიანების ნაწილი ცხოველურ დონეზე დავიდა. ზოგიერთი ქვეყანა უკვე ინცესტის დაკანონებაზეც კი საუბრობს. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ახლა დაიწყეს იმ აზრის გატარება, რომ მაიმუნი უფრო ბედნიერია, ვიდრე ადამიანიო.

***— რატომ უნდა იყოს მაიმუნი ადამიანზე უფრო ბედნიერი?***

— საერთაშორისო ორგანიზაციების განმარტებით, მაიმუნი ადამიანზე მეტად ბედნიერი იმიტომ არის, რომ ის უფრო თავისუფალია. ეს თავისუფლება კი იცით რაში გამოიხატება თურმე? მაიმუნს როცა უნდა, სადაც უნდა და ვისთანაც უნდა იმასთან დაამყარებს სქესობრივ კავშირს. მნიშვნელობა არა აქვს, ეს დედა იქნება, მამა, და თუ ძმა. აი, აქეთკენ მიჰყავთ ხალხი. სამწუხაროა, რომ ჩვენთანაც დაიწყეს ასეთი საშინელების ქადაგება. სატელევიზიო გადაცემებს შეხედეთ, ახალგაზრდობის გარყვნა და გათახსირება მიდის. ამდენი სერიალი შემთხვევით კი არ გადის, ადამიანებს ტვინს ურეცხავენ. ეს ყველაფერი კი ამერიკის ინტერესებშია, რომელიც დემოკრატიულობას თამაშობს, სინამდვილეში კი საშინელებას სჩადის. ამის ნათელი მაგალითი უკრაინაში დატრიალებული მოვლენებია.

***— უკრაინაში დატრიალებულ მოვლენებში რუსეთიც ცუდ როლს თამაშობს.***

— რუსეთის მხარდამჭერი და მეხოტბე არ გახლავართ, მაგრამ რაც უკრაინაში დასავლეთმა ჩაიდინა, ეს რუსებს არ გაუკეთებიათ. რასაც რუსეთი ყირიმში აკეთებს, მოსაწონი ნამდვილად არ არის, მაგრამ ეს ქვეყანა იქ თავის ინტერესებს იცავს. თან მათ ქმედებებს ჯერ მსხვერპლი არ მოჰყოლია. დასავლეთის დაფინანსებული მაიდანი კი, როგორი სისხლიანიც იყო, ყველამ ვნახეთ. ყველამ კარგად ვნახეთ, რა საშინელებებს სჩადიოდნენ ე.წ. ბენდერები. მთელი კიევი გადაწვეს. ხალხს აწამებდნენ, იქაურობას ანგრევდნენ. ამერიკა გამოვიდა და თქვა, რომ ეს იყო დემოკრატიული ბრძოლა. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, ისეთი უშინაარსო სიტყვა, როგორიც დღეს დემოკრატიაა, სხვა არ მეგულება. როგორ შეიძლება უკრაინაში მომხდარ სისხლისღვრას დემოკრატიული უწოდო? ამ განცხადებას ის ამერიკა აკეთებს, რომელმაც სააკაშვილის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხის ჩახოცვას მხარი დაუჭირა.

***— თქვენ ალბათ ჯონ ბასის განცხადება გაქვთ მხედველობაში. რომელმაც 2011 წლის 26 მაისის დარბევა გაამართლა.***

— მარტო კი არ გაამართლა, არამედ დარბევას მწვანე შუქიც აუნთო. მაგას რომ არ გაეკეთებინა ის ცნობილი განცხადება, სააკაშვილი ამდენს ვერ გაბედავდა. სწორედ ბასის წაქეზებით ჩაიდინეს 26 მაისის ღამეს ასეთი სიმხეცე. არადა, იმ დღეს საქართველოს მოსახლეობის ნაწილი სააკაშვილის ქმედებებს და რეჟიმს აპროტესტებდა. ამერიკელების დახმარებით სააკაშვილმა ეს ხალხი ამოახოცინა. ეს არ იყო აქციის დაშლა და არც დარბევა. ეს იყო ხალხის ამოწყვეტის ოპერაცია. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ სხვას აღარ გაებედა დამნაშავე რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლა. სად იყო ამ დროს ევროპა და ამერიკა? თუ მათი აზრით ეს არის დემოკრატია? ამ დანაშაულის ჩადენისთვის სააკაშვილისთვის პასუხიც კი არ მოუთხოვიათ. სისხლიანი ღამის შემოქმედ მერაბიშვილს კი ევროპელი პოლიტიკოსები ხშირად აკითხავენ ციხეში.

***— 26 მაისის საქმეზე მერაბიშვილს რამდენიმეწლიანი პატიმრობა მიუსაჯა სასამართლომ.***

— მერე ეგ საკმარისია? ეგ სასაცილო სასჯელია. ამ ადამიანმა უამრავი დანაშაული ჩაიდინა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ყველას გვჯეროდა, რომ დამნაშავეები საკადრისად დაისჯებოდნენ. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მარტო 26 მაისის ღამისთვის ვანო მერაბიშვილი ჰააგის ტრიბუნალისთვის უნდა გადაეცათ. ჰააგის ტრიბუნალს ეგ უნდა გაესამართლებინა და არა მილოშევიჩი. მილოშევიჩი, მერაბიშვილისაგან განსხვავებით, თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო. მას ჰააგის სასამართლომ ვერაფერი ვერ დაუმტკიცა. მისი გამართლება უნდა მომხდარიყო. ამას ვერ დაუშვებდნენ. ამიტომაც მოწამლეს ის პატრიოტი კაცი. მის დაკრძალვაზე 800 ათასი ადამიანი მივიდა. მილოშევიჩი ნაციონალებთან შედარებით ანგელოზი იყო. მის გასამართლებას ლამის მთელი მსოფლიო ითხოვდა, ჩვენ კი ამ კრიმინალების გასამართლების უფლებას არ გვაძლევენ. ეს კრიმინალები და ბანდიტები ადამიანებს გასამართლების გარეშე ხვრეტდნენ ქუჩაში. მამაკაცებს აუპატიურებდნენ და ამას ფირებზე იღებდნენ. კიდევ რომელი ერთი საშინელება ჩამოვთვალო. რატომ არ ითხოვენ ამ რეჟიმის გასამართლებას? რატომ არავინ სვამს გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხს? ამ კაცს უამრავი საშინელება აქვს ჩადენილი. მართალია, საკუთარი ხელით კაცი არ მოუკლავს, მაგრამ ბევრი უბედურება აქვს გაკეთებული. ყველა ბოროტი იდეა მაგისგან მოდიოდა. ეგ იყო გებელსი. სხვათა შორის, არც გებელსს არ მოუკლავს არც ერთი ადამიანი, მაგრამ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე მის კისერზეა. ნაციონალური მოძრაობა იყო ჩვეულებრივი ფაშისტური რეჟიმი. რომელიც უნდა გასამართლდეს. დასავლეთი მართლა დემოკრატიული ღირებულებების დამცველი რომ ყოფილიყო, ამ დამნაშავეების გასამართლებას მოითხოვდა. ისინი კი პირიქით იქცევიან, ხელს აფარებენ სააკაშვილს და აქეთ-იქეთ დააპროწიალებენ ამ უცოდინარ ბანდიტს. ახლა უკრაინაში ჰყავთ ჩაყვანილი, როგორც დემოკრატიის სიმბოლო.

***— თქვენი აზრით, რატომ დააპროწიალებენ აქეთ-იქეთ სააკაშვილს ამერიკელები და ევროპელები?***

— იმიტომ დააპროწიალებენ, რომ ხელისუფლებაში დააბრუნონ. ამ ხელისუფლებას რომ ვუყურებ, ვხვდები, სააკაშვილის დაბრუნება პრობლემა არ იქნება. ხომ ხედავთ, ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ დამნაშავე ნაციონალები მთავარ ოპოზიციურ ძალად გამხდარიყვნენ. იმის მაგივრად, რომ თავისთვის ჩუმად ისხდნენ, გამოდიან და იმუქრებიან. იმიტომ იმუქრებიან, რომ მათ პასუხი არ მოსთხოვა ხალხმა. ხალხს ეგონა, რომ ამას ბიძინა ივანიშვილი გააკეთებდა. დამნაშავეების დასჯის სანაცვლოდ კი ხელისუფლებამ კოაბიტაცია შემოგვაჩეჩა. თავად ყოველთვის კოაბიტირებულები იყვნენ. ოცნება და ნაცმოძრაობა წარმოადგენენ კენტავრს, რომელსაც თავი ნაცმოძრაობის აქვს, ხოლო ტანი ხელისუფლების. ყველაფერი ისე კეთდება, როგორც ნაციონალებს სურთ. ამაში მათ ხელს რესპუბლიკელებიც უწყობენ. მე მართლა ვერ ვხვდები, რატომ ითმენს ამას საზოგადოება და „ქართულ ოცნებაში“ შემავალი სხვა პარტიები. მე როგორც ვიცი, რესპუბლიკელების ასეთ ქმედებებზე დიდ უკმაყოფილებას გამოხატავს ჩვენი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი. ის არც რესპუბლიკელებს არ მოსწონთ. მათ შორის მალე დაიწყება სერიოზული დაპირისპირება.

***— ამ დაპირისპირებაში ვინ გაიმარჯვებს?***

— რამდენიმე დღის წინ „ასავალ-დასავალთან“ ვთქვი და თქვენთანაც გავიმეორებ, რომ თუ ღარიბაშვილი რესპუბლიკელებს არ გადააგდებს ნავიდან, მაშინ ქართველი ხალხი გადააგდებს ამ ხელისუფლებას! ხალხის მოთმინების ფიალა უკვე ივსება. ხალხი ბევრი რამით არის შეურაცხყოფილი. შეურაცხყოფაა, როცა დასავლეთი სააკაშვილს, როგორ დემოკრატიისთვის ბრძოლის ექსპერტს, ისე წარმოადგენს. რა ექსპერტი და რა დემოკრატი, ის გაუნათლებელი, ბანდიტი და ჯალათია. უკრაინას კარგი დღე დაადგება, თუ მაგის ჭკუაზე ივლიან. ფერადი რევოლუციები რისი მომტანიც არის, ყველამ ვნახეთ. 2003 წელს მომხდარი ე.წ. ვარდების რევოლუცია მთელმა მსოფლიომ უდიდეს მოვლენად შეაფასა. სინამდვილეში კი რა მივიღეთ — გაუბედურებული ხალხი და დაკარგული ტერიტორიები. ეს ყველაფერი ამერიკის წაქეზებით ხდებოდა. ტერიტორიები რუსეთმა წაგვართვა და საშინელ დღეში ჩაგვაგდო. რუსეთის მეხოტბე არა ვარ, მაგრამ ერთ რამეს აუცილებლად ვიტყვი. ბოლო 250 წლის მანძილზე რუსეთს ჩვენთვის იმდენი არ დაუშავებია, რაც ამერიკამ დაგვიშავა.

***— რა დაგვიშავა ამერიკამ ასეთი?***

— ამერიკა ჩვენი სულის ამოშანთვას ცდილობს. უამრავი ფული იხარჯება იმისთვის, რომ ჩვენი ეროვნულობა და აზროვნება წაშალონ. წართმეულ ტერიტორიებს ადრე თუ გვიან აუცილებლად დავიბრუნებთ, მაგრამ ამოშანთულ სულს ვერასდროს აღვიდგენთ. დღეს ამისთვის მიდის ბრძოლა. დასავლეთს დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველო არაფერში სჭირდება. ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ საქართველო არ გაძლიერებულიყო. ამერიკა დღეს მსოფლიოს მმართველობისკენ ისწრაფვის. ყველაფერი კეთდება, რომ ეროვნულობა და სახელმწიფოებრიობა გააქრონ. ჩინეთი და რუსეთი რომ არა, ამერიკა მთელ მსოფლიოს წალეკავდა. დღეს ხშირად გვესმის, რომ რუსეთი შეიძლება დაიშალოს. რაც ჩვენს ხალხს ძალიან უხარია. მესმის, რომ რუსეთის მიმართ მტრული განწყობაა, მაგრამ მისი დაშლა დღეს საქართველოს ინტერესებში არ შედის.

***— რატომ არ შედის?***

— რუსეთი თუ დაიშალა, ძალიან სერიოზული საფრთხე შეგვექმნება. ჩრდილოეთ კავკასიელები სერიოზულ პრობლემებს შეგვიქმნიან. ეს ოდითგანვე ასე იყო. პრობლემები შეგვექმნება სხვა მეზობლებთანაც. სომხეთს და აზერბაიჯანსაც აქვს ჩვენს მიწებზე პრეტენზიები, საზღვრებს ისინიც წევენ. საკმაოდ სერიოზული საფრთხე გვემუქრება თურქეთიდანაც. ადრეც მითქვამს, რომ თურქეთი დღემდე ვერ შეეგუა აჭარის დაკარგვას. იქ არიან ძალები, რომლებიც აჭარის დაბრუნებას ითხოვენ. აჭარაში ძალიან ცუდი პროცესებია დაწყებული. სააკაშვილის დროს ათეულობით ათას თურქს მისცეს საქართველოს მოქალაქეობა. ისინი იქ ცხოვრობენ. აჭარის რეგიონში ეკონომიკას დღეს ისინი განაგებენ. ასლან აბაშიძე თურქებს აჭარაში არ უშვებდა. ამბობდა, ეგენი აქ რომ შემოვიდნენ, მერე აქედან ვეღარ გავყრითო. ასეც იქნება.

***— მოკლედ, წინ საკმაოდ უსიამოვნო პერსპექტივა გველოდება?***

— სამწუხაროდ, ამ მხრივ საიმედოს და გასახარებელს ვერაფერს გეტყვით. კარგი არაფერი გველოდება. თუმცა ბევრი რამე ჩვენზეა დამოკიდებული.

# პარლამენტი თბილისში სანახევროდ გადმოდის

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყნის დედაქალაქში საკანონმდებლო ორგანოს გადმოტანას საშველი არ დაადგა. პარლამენტის ადგილმდებარეობის შესაცვლელად საკონსტიტუციო ცვლილებაა საჭირო. საკონსტიტუციო ცვლილებისთვის საჭირო ხალხი კი საპარლამენტო უმრავლესობას არ ჰყავს. ნაცმოძი თბილისში პარლამენტის შენობის გადმოტანას მხარს არ უჭერს.

პარლამენტის თავმჯდომარემ რამდენჯერმე განაცხადა, რომ აუცილებლად გამოინახებოდა გზა, რომლითაც პარლამენტი თბილისში დაბრუნდებოდა. ეტყობა, დავით უსუფაშვილმა ჯერ მარტო ამ გზის ნახევარი მონახა. დედაქალაქში საკანონმდებლო ორგანო ჯერ მხოლოდ სანახევროდ ბრუნდება. რაც იმაში გამოიხატება, რომ საკომიტეტო სხდომები თბილისში გაიმართება, ხოლო პლენარული სხდომები ქუთაისში.

— ჩვენ ძალიან მალე გვექნება შესაძლებლობა, მინიმუმ საკომიტეტო სხდომები გავმართოთ თბილისში. საკომიტეტო მოსმენაზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ ეს განხილვების ის ფორმატია, სადაც პარლამენტის წევრების გარდა, ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საკითხზე პოზიციის გამოთქმის და დისკუსიაში მონაწილეობის შესაძლებლობა. პარლამენტის პლენარული სხდომა ჩაკეტილი სივრცეა. პლენარულ სხდომათა დარბაზში შესვლაც კი კანონით რეგულირებულია, არა თუ დებატებში მონაწილეობის მიღება. კომიტეტების სხდომაზე კი ყველას ექნება პოზიციის გამოთქმის საშუალება. საპარლამენტო კომიტეტების პლუსია ის, რომ კომიტეტების ფორმატში საკითხებზე უფრო სიღრმისეული განხილვა მიმდინარეობს, ვიდრე პლენარულ სხდომაზე, — განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

რისთვის დასჭირდა სააკაშვილს პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანა, დანამდვილებით არავინ იცის. არც ის ვიცით, რამდენი დაუჯდა ქვეყანას ეს წამოწყება.

ნაციონალური ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ შენობის აშენება სულ რაღაც 138 მილიონი ლარი დაჯდებოდა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაირკვა, რომ ახალი პარლამენტის აშენებაზე გაცილებით მეტი თანხა დაიხარჯა.

თავის დროზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა 340 მლნ ლარზე მეტი დაჯდა და ეს ერთ-ერთი საკითხია ბოლო სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან გაწეულ მილიარდიან ხარჯებს შორის, რომელთა მიზნობრიობაც ეჭვქვეშ დგას.

— ძალიან ბევრი ხარჯია, რომელიც გაწეულია არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, რომელთა არა მარტო მიზნობრიობაა ეჭვქვეშ, არამედ რეალური ღირებულება იმ გადარიცხული თანხებით შესრულებული სამუშაოსი ასევე ეჭვქვეშ დგას, პარლამენტის შენობა, მაგალითად, ქუთაისში, რომელიც 340 მილიონ ლარზე მეტი დაჯდა და ის შენობა პრაქტიკულად გამოუსადეგარია სამუშაოდ. ერთადერთი, რაც იქ კარგია, ეს არის დარბაზი. იქ პრაქტიკულად წარმოუდგენელია აპარატის მუშაობა. შესაბამისად ეს უნდა შევისწავლოთ, მართლაც რა დაჯდა ეს შენობა, რატომაა ასე უხარისხო, როცა ამხელა ფულია გადახდილი. იმაზე აღარ ვამბობთ, რომ წყალი ჩადის იმ შენობაში ნებისმიერი არა მარტო წვიმის, არამედ ნამის დროსაც კი, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა 2012 წლის 31 ოქტომბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე.

ეს საკითხი საპარლამენტო კომიტეტებშიც არაერთხელ განიხილეს. ნაციონალებს ფულის წყალში გადაყრაში დასდეს ბრალი და დაგვპირდნენ, რომ თბილისში დაბრუნდებოდნენ.

თბილისში ჯერ მხოლოდ სანახევროდ ბრუნდებიან. საინტერესოა, ბიუჯეტს რამდენი დაუჯდება 2 პარლამენტის შენახვა.

# გიგი უგულავა: მთავრობა ტოტალურ მოსმენას აწარმოებს“

შორენა გონგლაძე

მთავარი პროკურატურა გიგი უგულავას ბრალდებებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ბრალდებულ გიორგი უგულავას მიერ დღეს გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით პროკურატურა განმარტავს, რომ 2014 წლის 7 მარტს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაასრულა გამოძიება გიორგი უგულავას და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე და არსებითი განხილვის მიზნით საქმე გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

— კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, პროკურატურამ დაცვის მხარეს სრულად გადასცა სისხლის სამართლის საქმის მასალები, მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის 2013 წლის 24 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის“ შედეგად მოპოვებული ბრალდებულ გიორგი უგულავას სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, რომლებიც მტკიცებულებითი მნიშვნელობისაა.

მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განხორციელებული სატელეფონო საუბრების მიყურადებისა და ჩაწერის შედეგად მიღებული მასალები პროკურატურამ კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებისას გადასცა მხოლოდ დაცვის მხარეს და სწორედ დაცვის მხარის, კერძოდ, ბრალდებულ გიორგი უგულავას მიერ 2014 წლის 12 მარტს ჩანიშნულ წინა სასამართლო სხდომის წინა დღეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და პროკურატურის დისკრედიტაციის მიზნით, მოხდა საუბრების შინაარსის დამახინჯებული ნაწილობრივი გასაჯაროება, — აღნიშნულია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ გიგი უგულავამ მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე პროკურატურის მხრიდან პირადი მიმოწერის დართვა გააპროტესტა. როგორც უგულავამ განაცხადა, საქმის მასალებს პროკურატურამ მის შვილთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერი დაურთო. გიგი უგულავას განცხადებით, მთავრობა ტოტალურ მოსმენას აწარმოებს.

# ნაციონალების მერობის კანდიდატი ნიკა მელია იქნება

შორენა გონგლაძე

როგორც ცნობილი გახდა, ნაციონალურმა მოძრაობამ შეცვალა პრაიმერის ჩატარების გეგმა თბილისის მერობის კანდიდატის გამოსავლენად და მერობის კანდიდატად ნაკლებად ცნობადი სახე, ნიკოლოზ მელია დაასახელა. თუმცა, პირველ მარტს ნაციონალურმა მოძრაობამ ორი კანდიდატი დაასახელა, რომლებიც 15 ივნისის ადგილობრივ არჩევნებში წარსადგენი მერობის კანდიდატურის გამოსავლენად პარტიის მიერ დაგეგმილ პრაიმერში მიიღებდნენ მონაწილეობას. ესენი იყვნენ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი გიორგი ვაშაძე და თბილისის მერიის თანამდებობის პირი ნიკოლოზ მელია.



თუმცა გუშინ, გიორგი ვაშაძემ, რომელმაც პირველად მერობის კანდიდატად კენჭისყრის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ შარშან გაახმოვანა, განაცხადა, რომ მან საკუთარი კანდიდატურის მოხსნა გადაწყვიტა. ვაშაძემ, რომელიც იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო 2010-2012 წლებში, ხოლო მას შემდეგ, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად დეპუტატი გახდა, ის ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი გახდა, თავისი გადაწყვეტილების კონკრეტული მიზეზი არ დაასახელა.

— შიდა კონკურენციამ მოიტანა ის, რომ ახალი ადამიანები, ახალი ლიდერები გამოიკვეთნენ და მე მინდა ვთქვა, რომ მათ შორის გამოიკვეთა ნიკა მელია, ჩემი მეგობარი, რომელთან ერთადაც ჩვენ რამდენიმე წელია ერთად მოვდივართ და ეს მართლაც ძალიან პოზიტიურია. ამიტომ მე მივიღე გადაწყვეტილება, ჩვენს გუნდთან ერთად, რომ მოვხსნა კანდიდატურა მის სასარგებლოდ. მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ დავიწყოთ ახალი ფაზა ცვლილებების, — განაცხადა ვაშაძემ.

მელია, რომლის თქმითაც ის პოლიტიკოსი არ არის და არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ გააჩნია, ამჟამად ძველი თბილისის რაიონის გამგებელია; ის აღსრულების ეროვნულ ბიუროს ხელმძღვანელობდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე; შარშან მას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში დასდეს ბრალი აღსრულების ბიუროს ხელმძღვანელად მუშაობის დროს „ბანკ ქართუსთან“ დაკავშირებულ საქმეზე. მელია წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.

— გიორგი ვაშაძემ ჩათვალა ასე, რომ მას ჩემთვის დაეთმო ეს ასპარეზი ამ კონკრეტულ პერიოდში შექმნილი საერთო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. მან, ჩემი აზრით, ჩათვალა, რომ იგი უფრო შეიძლება ამ ეტაპზე საჭირო იყოს არა მხოლოდ თბილისში, არამედ ქუთაისში, ზუგდიდში, სხვადასხვა ქალაქებში. მე მინდა, თბილისელებს შევპირდე, რომ ჩვენ ყველანი გაერთიანდებით და აუცილებლად ვიბრძოლებთ, რომ 15 ივნისს ჩვენ გავიმარჯვოთ, — განაცხადა მელიამ.

აღნიშნულ ფაქტს ნაციონალური მოძრაობის წევრი გიგი წერეთელი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ეს პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა.

როგორც გიგი წერეთელმა აღნიშნა, გიორგი ვაშაძეს ნიკა მელიას სასარგებლოდ კანდიდატურა რაიმე დაპირისპირების გამო არ მოუხსნია.

— მე არ ვიტყოდი, რომ რაიმე დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე, რაზეც ბოლო პერიოდში მიდის საუბრები. პარტიის შიგნით არის კონკურენცია და არაფერი არ არის აქ დასამალი. პრაიმერი უკვე ფორმალურ ხასიათს ატარებს, — განაცხადა გიგი წერეთელმა და დასძინა, რომ იგი მერობის კანდიდატად გიორგი ვაშაძეს ისურვებდა.

# შოთა აფხაიძე: ნაციონალებმა მაიდნის“ მოვლენების საშუალებით თავიანთი რეაბილიტაცია სცადეს“

შორენა გონგლაძე

უკრაინაში განვითარებულმა პროცესებმა, მსოფლიოში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა გადაფარა. მსოფლიო კიდევ ერთი დიდი ომის წინაშე დგას, ომის, რომელშიც მოგებული არ იქნება. ბოლო მოვლენებმა გვაჩვენა, რომ რუსეთი თავისი ნაცადი ტაქტიკით მოქმედებს, ნელა და სერიოზული აგრესიის გარეშე მიიწევს წინ, ევროპა კი ტრადიციულად მხოლოდ წკავწკავით კმაყოფილდება. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ კიდევ „უპატრონო“ ქვეყნებმა სხვის შეცდომებზე ჭკუა ვერ ისწავლეს, მთლად უმეცარი უნდა იყო, რომ თუნდაც საქართველოს მაგალითზე მაინც ვერ ისწავლო ჭკუა და ვერ განსაზღვრო, რა დონეზე შეიძლება დაეყრდნო ევროპა-ამერიკას. ასე ვერ განსაზღვრა უკრაინამაც და შედეგიც სახეზეა. ქართველი პოლიტოლოგ-პოლიტიკოსების თავსატეხი კი ახლა ის არის, რომ უკრაინის პროცესებმა საქართველოშიც არ გადმოინაცვლოს. უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ექსპერტი შოთა აფხაიძე აფასებს.

***— რეალურად არის თუ არა საფრთხე, რომ უკრაინის შემდეგ მსგავსი საქართველოშიც მოხდეს, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს დღემდე არ აქვს მკვეთრად გამოკვეთილი პოზიცია?***

— უკრაინაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ დასავლეთი ამერიკის დომინირებით, მკვეთრად ფორმულირებული და ურყევი სტრატეგიით მოქმედებს, თავისი გეოპოლიტიკური გავლენის არეალის გასაფართოებლად. მოდით გავაკეთოთ ანალიზი, თუ რამ შეუწყო ხელი უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების ასეთ წარმატებას. პირველ რიგში, უკრაინის მოქალაქეებს მართლაც ჰქონდათ ობიექტური მიზეზები ხელისუფლების ცვლილების მოთხოვნისა, რადგან რეალურად უკრაინაში იანუკოვიჩის მთავრობის პირობებში იყო კორუფცია, ნეპოტიზმი, კლანურობა და დაუსჯელობის სინდრომი. მაგრამ ამ ყველაფრის ცვლილება მათ მხოლოდ დემოკრატიული გზით უნდა მოეხდინათ. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა ნეგატიურმა მიზეზებმა მოუმზადა ნოყიერი ნიადაგი ერთი დასავლური სახელმწიფოს დამანგრეველ გეგმას, უკრაინაში სწრაფად და ეფექტურად მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება. ამას დაემატა მახინჯი იდეოლოგიური ფაქტორი — უკრაინელი ნაციონალისტების რუსოფობული და ზოგადად ფაშისტური განწყობა. ულტრამემარჯვენე ნაციონალისტების ფრონტი — „მემარჯვენე სექტორი“ დიმიტრი იაროშის ხელმძღვანელობით „მაიდნის“ დამრტყმელ ძალად იქცა, ამავდროულად თვითონ ოპოზიციური სპექტრის და ზოგადად მთელი უკრაინის ჟანდარმის ფუნქციასაც კარგად ითავსებს. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ძალა ძალიან ორგანიზებული, დისციპლინირებული, იერარქიულად სტრუქტურირებული, იდეოლოგიურად მოტივირებული და კარგად კოორდინირებულია აშშ-სთან. აქ უკვე ნათელია ე.წ „ცივილიზებული სამყაროს“ ანუ დასავლეთის ორმაგი სტანდარტები — დემოკრატიული რიტორიკის ფონზე ძალადობის და ფაშიზმის მხარდაჭერა. უკრაინა დღეს უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. აშკარაა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კრიზისი. შექმნილი კრიზისი უკრაინის, როგორც სახელმწიფოს, კრახს გამოიწვევს, ეს გარდაუვალია. დასავლური კრედიტები ვერ იხსნის უკრაინას. უფრო მნიშვნელოვანი — უკრაინას ვერ ეყოლება ერთი ხელისუფლება ამ ოპოზიციური ელიტის პირობებში, ის ძალიან ჭრელია და ყველას აქვს ამბიცია პირველობაზე. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ერთ რეალობას: პოლიტიკურ ძალთა დაქსაქსულობის ფონზე უკრაინაში ადგილი აქვს ფაშისტური დიქტატურის დამყარების მცდელობას.

***— როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში?***

— უდავოა, რომ იქ მცხოვრებმა რუსულენოვანმა მოსახლეობამ ქაოსის პირობებში თვითმობილიზაცია დაიწყო. რეგიონების პარტიის დეპუტატთა დიდი ნაწილი იუდას გზას დაადგა და თავის ხალხს უღალატა, ისევე, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა უმრავლესობა. მათ ფინანსური კეთილდღეობა არჩიეს სიმართლეს, მაგრამ მოსახლეობამ თვითორგანიზების რეჟიმში გადაიყვანა არსებული რეალობა. აქ მცხოვრები ხალხის წინააღმდეგობა არის პროტესტი და ამავდროულად თავდაცვა იდეური ფაშისტებისგან, რის საფუძველზეც დღეს უკრაინას მართავენ. სამხრეთ-აღმოსავლეთი მენტალურად და კულტურულად სრულიად სხვა სამყაროს წარმოადგენს, აქაურები არ დაუშვებენ რუსული ენის აკრძალვას (საჯარო სფეროდან განდევნას), რადგან ეს ენა საუკუნეებია არის კომუნიკაციის ერთადერთო ენა რეგიონში. ისინი არ დაუშვებენ ბანდერას, მელნიკის და მათი იდეური მემკვიდრეების და მოკავშირეების დომინირება-გაფეტიშებას რეგიონზე. მართლმადიდებელი აღმოსავლეთისა და სამხრეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია უნიატებისა და კათოლიკეების მხრიდან მართლმადიდებლური ტაძრების დაპატრონების მცდელობებიც. გარდა ამისა, სამხრეთ-აღმოსავლეთი არ დაუშვებს, რომ „სოციალურად იმპოტენტმა“ და პარაზიტმა დასავლეთმა უკრაინამ გამოიწვიოს მთელი რიგი საწარმო ობიექტების კვდომა, რასაც რეგიონის და მთლიანად უკრაინის გაღარიბება მოყვება (უკრაინის ეკონომიკა დგას აღმოსავლეთის რეგიონზე, დასავლეთი 80%-ით დოტაციაზეა). სამხრეთ-აღმოსავლეთი არ დაუშვებს თავის რეგიონებში იმას, რაც დღეს ხდება დასავლეთ უკრაინაში: მოროდიორობა, ვანდალიზმი, ძარცვა-გლეჯა და ა.შ. ასე რომ, ამ ნაწილში კონფლიქტის ესკალაცია გარდაუვალია, რომელიც დასავლეთის მარცხით დამთავრდება.

***— ნაკლებად სავარაუდოა უკრაინის მარცხის შემდეგ დასავლურ პროვოკაციას საქართველოც წამოეგოს..***

— იგივე ძალები, ვინც სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო უკრაინაში, შემდეგი დარტყმის განხორციელებას შეეცდებიან საქართველოში. სცენარი თითქმის იდენტური იქნება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეალობა — მასშტაბები, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკის განვითარების დონე, საზოგადოება და კიდევ ბევრი სხვა ასპექტი სერიოზულად განსხვავდება უკრაინულისაგან. მიხეილ სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „მაიდნის“ მოვლენების საშუალებით თავიანთი თავის პოლიტიკური რეაბილიტაცია სცადეს, რაც ჩემი აზრით, საკმაოდ წარუმატებელი ნაბიჯი იყო. დასავლელმა ლობისტებმა სააკაშვილის იმიჯის გასასუფთავებლად მას უკრაინული პიარ-აქცია მოუფიქრეს. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ის მაინც ისეთივე მიუღებელ პერსონად რჩება, როგორიც მაიდნის მოვლენებამდე იყო. მან და მისმა გუნდმა ამ საქციელით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ასრულებენ ამერიკელი ნეოკონსერვატორების და ოდიოზური დასავლელი რეაქციულ-მილიტარისტული ძალების შეკვეთებს. „ნაციონალებისა“ და უკრაინელი ფაშისტების „მეგობრობას“ ანტირუსული განწყობა და პროვოკაციების დაუოკებელი სურვილი უდევს საფუძვლად — საკუთარი ერების ინტერესების საზიანოდ. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნებისმიერ ავანტიურაზე წავლენ, ოღონდ მსოფლიოს დაანახონ, რომ რუსეთი „აგრესორია“ და ისინი მის წინააღმდეგ მებრძოლი „გმირები“. სწორედ ეს ძალა შეეცდება თავისი დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით, რევანშის გზით დაბრუნდეს საქართველოს ხელისუფლებაში. ამ პროცესის განხორციელება უახლოეს თვეებში დაიწყება. უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების და მათი იდეოლოგების მხრიდან სახეზე გვაქვს მეტად აგრესიული და მუქარის შემცველი მესიჯები, სადაც ისინი ამბობენ, რომ ივანიშვილის მთავრობა „პრორუსულია“, ისევე, როგორც იანუკოვიჩის მთავრობა, რომ ივანიშვილი გაიზიარებს მის ბედს და ვანო მერაბიშვილი ისევე იქნება გათავისუფლებული პატიმრობიდან, როგორც იულია ტიმოშენკო... ანუ ეს არის აშკარა პარალელის გავლება უკრაინულ და ქართულ სცენარებს შორის. საქმეს ართულებს დასავლელი დიპლომატების განცხადებები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, მაგალითად: ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა სააკაშვილის რეჟიმის ჯალათის, გოგა ონიანის დაკავებას პოლიტიკური დევნა უწოდა წინასაარჩევნო პერიოდში. ასევე არაერთი უსაფუძვლო კრიტიკა მოვისმინეთ ბოლო თვეების განმავლობაში ევროპის საბჭოს და ევროპის კავშირის საპარლამენტო ასამბლეებზე საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ.

დაბოლოს, საქართველოში ჩასულ პრემიერს და ქართულ დელეგაციას პირდაპირ უთხრეს, რომ დამნაშავე რეჟიმი მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით უნდა გახდეს ხელისუფლების პარტნიორი, როგორც ოპოზიციური ძალა. აშკარაა, რომ ეს ყველაფერი ემსახურება დეზინფორმაციული ფონის შექმნას და ცრუ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების გადატრიალების მიზნით. დასავლეთის რეაქციული ძალები დეკლარირებულად მხარს უჭერენ და დაუჭერენ საქართველოში მსგავსი ძალადობრივი სცენარის განვითარებას.

***— ამ ყველაფრის თავიდან აცილება თუ შეიძლება?***

— საქართველოს პრემიერმა და მინისტრთა კაბინეტმა სასწრაფოდ უნდა გაატარონ საკადრო ცვლილებები და, უპირველეს ყოვლისა, თავიდან მოიშორონ ძალოვან სტრუქტურებში დარჩენილი დამნაშავე რეჟიმის კადრები. ასევე უნდა მოხდეს წმენდა სხვა სტრუქტურებშიც. უნდა სასწრაფოდ გამოძიებული იქნას დამნაშავე რეჟიმის მიერ ჩადენილი აბსოლუტურად ყველა დანაშაული და უმკაცრესად დაისაჯონ დამნაშავე პირები და არა ისე, როგორც ეს დღეს ხდება (ვანო მერაბიშვილს მიესაჯა მხოლოდ 4 წელი და 6 თვე), არამედ მათ პასუხი უნდა აგონ კანონის სრული სიმკაცრით და დაუწესდეთ მაქსიმალური სანქციები. საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ უნდა გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, შექმნას შესაძლებლობიდან გამომდინარე მაქსიმალურად უკეთესი ეკონომიკური ფონი, ამის საშუალება არის სოფლის მეურნეობაში სუბსიდირებით და რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით. რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკის მკვეთრ გაუმჯობესებას და პოლიტიკურ სტაბილიზაციას. არის დიდი ალბათობა, რომ რუსეთმა გადახედოს გაზის და სხვა ენერგომემცველების ტარიფებს და საქართველოსთვის შეღავათიანი ფასები დააწესოს. ასევე ქართულ პროდუქციას და ქართველ მუშახელს მიანიჭოს გარკვეული პრივილეგიები, კარი გაუხსნას რუსულ ბიზნესს საქართველოში (მსხვილ რუსულ ინვესტიციებს). ყოველივე ეს საგრძნობლად გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტს და ქვეყანა აღარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ დასავლურ კრედიტებსა და გრანტებზე, შემცირდება დასავლეთის მიერ პოლიტიკური მანიპულაციის ბერკეტებიც. სუვერენიტეტის ინდექსიც შესაბამისად გაიზრდება. ასევე მკვეთრად უნდა შეკვეცოს მაღალი თანამდებობის პირებზე გასაწევი სახელმწიფო ხარჯები — პირველ ყოვლისა, დაწესდეს ლიმიტი სამსახურებრივი მანქანების შეძენაზე. არც ერთი მინისტრი არ უნდა დადიოდეს 20-25 ათას დოლარზე უფრო ძვირი ავტომანქანით. ავტომანქანის გამოცვლა უნდა მოხდეს მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ. ჩანასახშივე მოსპოს კლანურობა ხელისუფლებაში, ბიზნესში და მთლიანად ქვეყანაში. ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შესრულების შემთხვევაში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მოიპოვებს ქვეყნის მოსახლეობის უპრეცედენტო მხარდაჭერას, რაც გაამყარებს მის პოლიტიკურ პოზიციებს და შეუძლებელს გახდის სააკაშვილის ბანდის მიერ მის დისკრედიტაციას. მაგრამ საქართველოს არსებული ხელისუფლება მაინც ვერ მოიპოვებს ისეთ მხარდაჭერას დასავლეთიდან, როგორიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს ჰქონდა, რადგან დღევანდელი ხელისუფლება, მადლობა ღმერთს, არასოდეს წავა ისეთ ავანტიურაზე და არ მოაწყობს ისეთ პროვოკაციებს, როგორსაც სააკაშვილი და მისი ბანდა აწყობდა, დასავლელი მილიტარისტების დაკვეთით.

**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

[illegible]

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. [illegible] 100%-იანია.
ქ-60 ქეთევანი
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ჯაბა სამუშია გამგებლებს საბოტაჟში ადანაშაულებს

მარიკა მჭედლიშვილი



თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯაბა სამუშია მერიას საბოტაჟში ადანაშაულებს და გამგეობებს მოუწოდებს, შეწყვიტონ თბილისელების დაცინვა.

ასეთი შეფასებები 12 მარტს ჟურნალისტებთან ჯაბა სამუშიამ მას შემდეგ გააკეთა, რაც ქუთაისის ქუჩას ეწვია და იქ გზის საფარი დაათვალიერა.

– გზის საფარი არა მხოლოდ ამ ქუჩაზე, არამედ, მთელი თბილისის მასშტაბით სავალალო დღეშია. 2014 წლის თბილისის ბიუჯეტში გზების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხა წინა წლებთან შედარებით გაზრდილია და 64 მილიონ ლარს შეადგენს. თუმცა, გზებზე სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა. თბილისის გზებზე არსებული მდგომარეობა საზოგადოების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. დედაქალაქში არ დარჩა არც ერთი უბანი, სადაც გზის საფარი არ იყოს დაზიანებული-აცხადებს ჯაბა სამუშია.

მისი სიტყვებით, „პრობლემასთან მიმართებაში გამგებელთა ინერტულობა საბოტაჟს წააგავს".

თავმჯდომარია მოადგილე საეჭვოდ მიიჩნევს ტენდერების გაჭიანურებასაც და ამბობს, რომ, „გამგეობები ამ გზით ცდილობენ ამჟამინდელი ხელისუფლების თითქოსდა უუნარობის წარმოჩენას".

– მოვუწოდებ გამგებლებს, შეწყვიტონ თბილისელების დაცინვა, გაემიჯნონ პოლიტიკურ დაკვეთებს და ღირსეულად დაამტავრონ პოლიტიკური კარიერა, – ანამუსებს ჯაბა სამუშია დედაქალაქის მთავრობას.

ასფალტის საფარის გამოცვლა „ნაციონალების" საქმიანობაში ლამის მთავარ ღირსებად მიიჩნეოდა. ამაზე ოპონენტები ამბობდნენ, კარგი გზები ჰიტლერმაც დააგოო. ჰიტლერის მიერ გაყვანილი გზები დღესაც კი ხარისხიანია. სააკაშვილისა კი მაშინვე იყო გასაკრიტიკებელი, მაგრამ მაშინ ამ საკითხზე თითქმის არავინ ამახვილებდა ყურადღებას.

## ირაკლი ალასანია იტალიელ კოლეგას შეხვდება



თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ოფიციალური ვიზიტით იტალიაში გაემგზავრა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ალასანია იტალიელ კოლეგას რობერტა პინოტის, საქართველოს თავდაცვის სფეროში განხორციელებულ რეფორმებს გააცნობს. საუბარი აისაფ-ის მისიაში ქართული სამხედრო ქვედანაყოფების მონაწილეობას და ავღანეთის საერთაშორისო ოპერაციის სამომავლო გეგმებს შეეხება. მინისტრები თავდაცვის სფეროში საქართველოსა და იტალიას შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხსაც განიხილავენ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია იტალიის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა კლუბს ეწვევა. დაგეგმილია ვიზიტი იტალიის თავდაცვის უმაღლეს სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში, სადაც შეხვედრა სასწავლო დაწესებულების მსმენელებთან და მაღალი რანგის ოფიცრებთან გაიმართება.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი იტალიის საჰაერო ძალების ფრენების ცენტრსაც ესტუმრება და მისი მუშაობის შესახებ პრეზენტაციას მოისმენს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ორდღიანი ვიზიტი ოფიციალურად ხვალ დასრულდება.

ნიუსპრესი

## ბელორუსის საგანგებო სიტუაციების მინისტრი 112-ს" ესტუმრა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრს ბელორუსის დელეგაცია საგანგებო სიტუაციების მინისტრ, გენერალ-მაიორ ვლადიმერ ვაშჩენკოს ხელმძღვანელობით ესტუმრა.

შსს-ს ინფორმაციით, სტუმრებმა შენობა დაათვალიერეს და ცენტრის მუშაობის სპეციფიკას ადგილზე გაეცნენ. „112"-ის ცენტრის წარმომადგენლებმა სტუმრებს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის ფუნქციებისა და სამომავლო გეგმების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს.

შეხვედრაზე მხარეებმა ბელორუსსა და საქართველოს შორის სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს. ვიზიტის დასასრულს „112"-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ნიუსპრესი

## ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით ორი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1972 წელს დაბადებული კობა ზ. და 1968 წელს დაბადებული გივი ნ. ყაჩაღობის მომზადების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით გურჯაანში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები ქალაქ გურჯაანში მდებარე ერთ-ერთი ბანკის საინკასაციო მანქანაზე ყაჩაღურ თავდასხმას გეგმავდნენ. მათ წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი ჯავშანმანქანის მოძრაობის განრიგი და მარშრუტი.

სამართალდამცველებმა გივი ნ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს ერთჯერადი ხელთათმანები, ნიღბები და კუსტარულად გადაჭრილი გლუვლულიანი სანადირო თოფი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას განეკუთვნება და სასროლად ვარგისია.

ნიუსპრესი

## ახალქალაქში მოქალაქემ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ჩააბარა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში ახალქალაქის რაიონის სოფელ ბეჟანოში მცხოვრებმა, 1984 წელს დაბადებულმა სამველ მ-მ ნებაყოფლობით წარადგინა და ჩააბარა: „ერ-გე-დე 5"-ის ტიპის 4 ცალი ხელყუმბარა, 12 დეტონატორი, „ა-კაეს"-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2 მჭიდი, 1 ცალი კალმის ტიპის თვითნაკეთი პისტოლეტი და სხვადასხვა კალიბრის 200 ცალი საბრძოლო ვაზნა.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ნიუსპრესი

## შსს-მ ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ვარუჟან ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 16 აბი „სუბუტექსი" ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,1277 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ნიუსპრესი

# ვისი მოთხოვნით გააუქმეს ვერტმფრენების შემკეთებელი ქარხანა

## ყოფილი პოლიტპატიმარი ნუგზარ შავთვალაძე რეაბილიტაციას ითხოვს

**საქართველოს პარლამენტმა პოლიტპატიმრად 200-მდე ადამიანი აღიარა. 25-ს მიენიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი. თუმცა, პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულად თავს სხვებიც მიიჩნევენ. მათმა ნაწილმა ციხეები ამ დადგენილების მიღებამდე დატოვა, ნაწილი კი ისევ იხდის სასჯელს. გათავისუფლებულების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ მიმართ დევნა არ შეწყვეტილა-ზოგს ბინასართმევენ, ზოგს ანგარიშებს უყინავენ და ა. შ. „ახალი თაობა" ესაუბრა პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულ ნუგზარ შავთვალაძეს. ინჟინერ-გამომგონებელი ნუგზარ შავთვალაძე უზენაესი საბჭოს წევრი იყო. წინა ხელისუფლების დროს ის ქუთაისის ქარხანაში ერთ მნიშვნელოვან პროგრამას ხელმძღვანელობდა, როცა მისი საქმიანობა ვანო მერაბიშვილისა და სხვების ინტერესებს შეეჯახა.**

მარიკა მჭედლიშვილი

***– თქვენც ამ პარლამენტის დადგენილებით მოგანიჭეს პოლიტპატიმრის სტატუსი?***

– არა, პოლიტპატიმრის სტატუსი უცხოეთმა მომანიჭა. გაეროსთან არსებულმა უფლებათადამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მაღიარა პოლიტიკურ პატიმრად და 2008 წელს გავთავისუფლდი.

***– საბოლოო რეაბილიტაციას მოითხოვთ?***

– რა თქმა უნდა. დამიტოვეს ცრუ ბრალდება, თითქოს სახელმწიფოს მივაყენე ზარალი, ანუ ქვეყანა ვაზარალე და ფულადი ვალი მაქვს.

***– რას საქმიანობდით?***

– რის გამოც დამაკავეს, იმით საერთოდ არ ვყოფილვარ დაკავებული. ბიზნესი არ მიწარმოებია. ჩემი სახელით ერთი პირი კი არღვევდა კანონს, მაგრამ, სიმართლე მალე გამოაშკარავდა. გაირკვა, რომ ამ საქმესთან არანაირი კავშირი არა მაქვს. მიუხედავად ამისა, ციხეში ორი წლის განმავლობაში მომიწია ჯდომამ. თანდათან გამოაშკარავდა, რომ ამ ადამიანს განზრახ იყენებდნენ ჩემ წინააღმდეგ.

***– ანუ საბაბს ეძებდნენ, რომ დაეკავებინეთ?***

– დიახ. ამას ყველაფერს პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ბიძინა გიორგობიანის დევნის ამბავი კარგად მოგეხსენებათ. მეც მის მსგავს სიტუაციაში გავეხვიე. 1997-დან 2001 წლამდე ვიყავი ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში ოთხადგილიანი თვითმფრინავი გაკეთდა. ძალიან საინტერესო საქმიანობას ვეწეოდით. კოსმონავტი იგორ ვოლკიც კი იყო ჩვენთან ჩამოსული. მაგრამ, დაიწყო ჩვენი შევიწროება-მეც ჩამომაცილეს საქმეს და სხვებიც. როგორც გითხარით, პროგრამას ვხელმძღვანელობდი და „დედამიწა და კოსმონავტიკის" წარმომადგენელი ვიყავი. წინა ხელისუფლებამ ქუთაისის ის ქარხანაც დაანგრია, სადაც ჩვენ ვმუშაობდით. საწარმო ქუთაისის ცენტრში, 8 ჰექტარზე იყო განთავსებული. მას ჰყავდა 300-კაციანი საუკეთესო კოლექტივი. ადრე ეს ქარხანა თვითმფრინავებს კი არ აწარმოებდა, არამედ, ეს იყო ვერტმფრენების ძრავების სარემონტო საკავშირო საწარმო. შემდეგ ის კერძო პირს მიჰყიდეს. ქარხანა ინგრეოდა. კოლექტივიც იშლებოდა. აღმოჩნდა, რომ ყოფილ სარემონტო ქარხანაში არის დანადგარი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა ქართული სამხედრო ვერტმფრენების (მი-8; მი-24) რემონტი. ქარხნის კოლექტივმა მიმიწვია და დახმარება მთხოვა. ჩავედი, მერე სასწრაფოდ შევიმუშავეთ ბიზნესგეგმა. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდა 31-ე საავიაციო ქარხნის ხელმძღვანელი პანტიკო თორდია. პანტიკო თორდიასთან ერთად შევადგინეთ გეგმა, რომლის მიხედვით, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, და საერთოდ, მთელი რეგიონის ვერტმფრენები ამ ქარხანაში უნდა გარემონტებულიყო. ახლა უკრაინაში არემონტებენ საქართველოს ვერტმფრენებს და თითო რემონტი ორი მილიონი დოლარი უჯდებათ. ამ საწარმოს რომ ემუშავა, სხვა სიტუაცია იქნებოდა. ბიზნესგეგმა ისე იყო გათვლილი, რომ ყოველწლიურად დაახლოებით ასი მილიონი დოლარის ოდენობის მოგებას მიიღებდა ქუთაისის ბიუჯეტი.

***– ვიღაცას ეს არ აწყობდა?***

– ეს არც უკრაინას და არც რუსეთს არ აწყობდა. ვერტმფრენების შეკეთება მანდ ხდება. ჩემი წყაროებიდან ვიცი, რომ უარყოფითი რეაქცია ჯერ რუსეთიდან წამოვიდა, მაგრამ, პირდაპირ ეს ვერავინ თქვა. იუშჩენკო სააკაშვილის მეგობარი იყო და ამის გამოყენებას შეეცადნენ. მაშინ ისიც კი დამაბრალეს, საქართველო-უკრაინის მეგობრობას ხელს უშლიო. მაშინ ბენდუქიძე ახალი დანიშნული იყო ეკონომიკის მინისტრად. გვეგონა, საქართველოს მხარეს და ჩვენს გეგმას დაიცავდა, მაგრამ, ასე არ მოხდა. წარმოიდგინეთ, საქმე ეხებოდა რუსეთის ინტერესებს და ბენდუქიძე რა პოზიციას დაიჭერდა? ჩვენი ვერ გავიტანეთ. დაიწყო დანადგარების გატანა. სხვათა შორის, როცა პროგრამას ვხელმძღვანელობდი „დედამიწა და კოსმონავტიკის" ფილიალში („იბერია ავიატონში"), მაშინაც ვხედავდი და ვამჩნევდი უკრაინის კომერციულ ინტერესებს. მერე გავიდა წლები და დაიწყო ინტენსიური ზეწოლა დანადგარის გადაცემასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, მეც ჩამომაცილეს საქმეს და ქარხანაც ჩაიგდეს ხელში. დანადგარის გატანას მთელი კოლექტივი ვეწინააღმდეგებოდით. ფოთში ორი დატვირთული ტრაილერიც კი შევაჩერე. მერაბიშვილსა და პრეზიდენტს მივმართავდით.

***– ტრაილერები, ალბათ, დიდი ხნით არ გაგაჩერებინეს?***

– დიახ. მერე მუქარები წამოვიდა უშიშროებიდან. მეუბნებოდნენ, წადი, ამ საქმეს თავი დაანებე, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია, ეს იუშჩენკოს თხოვნაა და დანადგარი იმათ უნდა მივცეთო. იმასაც მითვლიდნენ, რომ ჩემი ოჯახის წევრების გადაადგილების გრაფიკი იცოდნენ და მათ პრობლემებს შეუქმნიდნენ. უკრაინის ინტერესები იყო ამაში, მაგრამ, გამოვრიცხავ, რომ ეს პირადად იუშჩენკოს თხოვნა ყოფილიყო.

***– ასე გააფთრებით რატომ გებრძოდნენ?***

– ფული აიღეს.

***– ვისგან აიღო ქართულმა მხარემ ფული?***

– „ნაციონალების" მაღალჩინოსნებმა „ფეესბესგან" აიღეს ფული. ეს ერთმა უკრაინელმა მაღალჩინოსანმაც დამიდასტურა. მან მითხრა, რუსეთი თქვენი ქარხნის გამო ვერ მოისვენებდა, საქმის ჩაშლა ჩვენი საშუალებით უნდოდა, მაგრამ ახლა 10 მილიონი დოლარი გადაიხადაო. ოფიციალურად 500 000-ია ჩარიცხული.

***– რომელმა მაღალჩინოსნებმა, არ არის ცნობილი?***

– შემიძლია ვთქვა, რომ ეს იცოდა ვანო მერაბიშვილმა. ის იყო უწყების ხელმძღვანელი და უშიშროებაც მასთან შედიოდა. ვანო მერაბიშვილმა და მისმა მოადგილე მესხელმა იცოდა ეს. ერთხელ ერთ კაცს, რომელიც მესხელს იცნობდა, ვთხოვე ამ საქმეში, ანუ ქართულ ეროვნულ საქმეში დახმარება. მათ კარგად იცოდნენ, რაც ხდებოდა. უშიშარი კაცი ვარ, მაგრამ ოჯახის გამო ამ საქმეს თავი დავანებე.

***– რაღაზე დაგაპატიმრეს?***

– იმიტომ რომ, პირდაპირ ვთქვი ფულის აღების შესახებ. მერე საბაბიც შემითითხნეს და დამაკავეს.

***– ახლა სხვა ხელისუფლებაა. არ არის სიტუაცია შეცვლილი?***

– ბევრი რამეა შესაცვლელი. ამიტომ პოლიტპატიმრები შევიკრიბეთ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაშიც გავერთიანდით. მე, როგორც გითხარით, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობის შედეგად გამათავისუფლეს. ყველანაირმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ უდანაშაულო ვიყავი. იმდენად აბსურდის გამო ვიჯექი, რომ თვით ელენე თევდორაძეც მეხვეწებოდა, ნაწილობრივ მაინც აღიარე დანაშაული, თორემ ისე ვერ გიშვებთო. მე არაფერს ვაღიარებდი. ოთხი წელი მქონდა მისჯილი. მაფრთხილებდნენ, ფრთხილად იყავი, სასჯელს დაგიმატებენო. ეს სასაცილოდ არ მყოფნიდა, მაგრამ მართლა მომიმატეს ორი წელი.

***– რა ოფიციალური მოტივით?***

– იმავე საქმეს ახალი ქაღალდი დაუმატეს. სინამდვილეში, დამსაჯეს, რომ არ ვაღიარებდი დანაშაულს. ყველა გზა გადამიკეტეს, რომ უარყოფა გამეკეთებინა. 2008 წელს, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად ჩამსვეს მანქანაში. არც მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი კათოლიკოს-პატრიარქთან. მაშინ ვთქვი, შეწყალებაზე თხოვნა არც მე და არც ჩემს ცოლ-შვილს არ დაუწერია-მეთქი. აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საფრანგეთისა და გერმანიის ხელისუფლების დახმარებით გამოვედი. თან, პარლამენტის წევრი ვიყავი და ამასაც მიექცა ყურადღება.

***– ბოლომდე რეაბილიტირებული არა ხართ?***

– დამიტოვეს ბრალდება, თითქოს მთავრობის მიმართ რაღაცა თანხა მაქვს გადასახდელი. ამ გაუგებარ დავალიანებას მედავებიან. თუ დამნაშავე ვარ, რატომ გამომიშვეს ციხიდან? 2010 წელს დამაყადაღეს. პატარა ოროთახიან ბინაში ვცხოვრობთ მთელი ოჯახი. კიდევ კარგი ჩემს სახელზე არ არის, თორემ, წამართმევდნენ. გამიჭირდა და მუშად დავიწყე მუშაობა. 700 ლარი მქონდა ასაღები. მაგრამ, დამიბლოკეს და ვერ ავიღე. გამოდის, რომ ჩემი დევნა გრძელდება. კიდევ კარგი, საპარლამენტო კომპენსაციას ვიღებ, თორემ, არ ვიცი, როგორ ვიარსებებდი. ყადაღის დადებამდე მეუბნებოდნენ, თუ სტრასბურგის სასამართლოდან სარჩელს გამოიტან, არაფერს დაგიყადაღებთ და ყველა დავალიანებას მოგიხსნითო. ერთხელ დავთანხმდი კიდეც, ოღონდ, მოვითხოვე ტელევიზიით ან სხვა საშუალებით ჩემი რეაბილიტაცია. არ დამთანხმდნენ. მაშინ ნიკა გვარამია იყო პროკურორი. გვარამიამ მითხრა, მადლობა გადამიხადე, რომ გამოგიშვიო. როცა სტრასბურგიდან ნომერი მივიღე (ფაქტიურად,შეტყობინება, რომ საქმეს განიხილავდნენ), მეორე დღესვე დამიყადაღეს ანგარიშები. ბინის ჩამორთმევაც უნდოდათ. ახლაც ვერ მიმუშავია. არჩილ კბილაშვილსაც მივმართე, ეკა ბესელიასაც. ერთადერთი პასუხი კბილაშვილის პროკურატურიდან მოვიდა. მთავარი პროკურატურიდან მირჩიეს, ხარვეზების დამდგენ კომისიას დაელოდეთო. რამდენი ხანია გაირკვა, რომ ეს კომისია აღარ იქმნება. სხვათა შორის, პოლიტრეპრესირებულადაც ვარ აღიარებული 2005 წელს სასამართლოს მიერ იმის გამო, რაც მე და ჩემმა თანამოაზრეებმა შევარდნაძის დროს გადავიტანეთ. ახლა ისევ ბრძოლა გვიწევს.

# ნოდარ ნათაძე: პუტინმა მთავარი იმპერიული ინტერესი წააგო“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძესთან

***— ბატონო ნოდარ, დღეს რუსეთი ყირიმის დასაპყრობად იბრძვის. ყირიმის გარკვეული ნაწილი რუს სამხედროებს დაკავებული აქვთ. რუსეთი ცდილობს, გარკვეულწილად, იგივე სცენარი გაიმეოროს, რაც საქართველოში გამოიყენა — რუსული პასპორტების დარიგება, ვითომ რეფერენდუმის ჩატარება და ა.შ. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაუვა რუსეთს დღეს?***

— სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთს ბირთვული ომის ძალიან პატარა შესაძლებლობა გაუჩნდა. ამაში ეჭვი არ მეპარება. უკვე რამდენიმე წელიწადია, დასავლეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ამოდის იმ საფუძვლიდან, რომ რუსეთი თვითმკვლელობაზე არ წავა, ანუ ბირთვულ ომს არ გადაწყვეტს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ რუსები მსოფლიო მოსახლეობის 2%-ია და რუსეთს მსოფლიო ხმელეთის დაახლოებით 15% უჭირავს. ამის გაჭირვება არ აქვთ. მათ რომ ჰქონდეთ პატარა ტერიტორია იაპონიასავით, შეიძლება წავიდნენ ბირთვულ ომზე. ახლა არ წავლენ.

***— რუსეთი პატარა ქვეყანა რომ ყოფილიყო, ბირთვულ ომს დაიწყებდა?***

— რუსეთი რომ იყოს იაპონიის ტოლი ქვეყანა, მაშინ ბირთვულ ომზე წავიდოდნენ, მაგრამ უზარმაზარი ქვეყანაა და ბირთვულ ომს აზრი არ აქვს. მათ სასიცოცხლო სივრცე აქვთ და არავინ უზღუდავს. ამიტომ თავის გაწირვისთვის მიზეზი არ აქვთ, მაგრამ ახლა გაჩენილია ახალი ფაქტორი — შესაძლებელია თვითონ პუტინს აქვს ამის მიზეზი.

***— რა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს პუტინს ბირთვული ომისთვის?***

— ის, რომ უკრაინამ ზურგი აქცია რუსეთს და ყალიბდება, როგორც რეალურად დამოუკიდებელ ევროპულ სახელმწიფოდ, ეს უკვე შემდგარი ფაქტია. ამას ვერავინ შეცვლის. ეს, რა თქმა უნდა, შეუთავსებელია პუტინის ე.წ. იმიჯთან, პუტინის სახესთან, როგორც მაგარი დიქტატორისა. ის რჩება, როგორც გალახული დიქტატორი, ანუ მთავარი იმპერიული ინტერესი პუტინმა უკვე წააგო.

***— სად წააგო პუტინმა თავისი იმპერიული ინტერესი? მაგალითად, საქართველოსთან მოიგო — ტერიტორიები, ჯერჯერობით, მას აქვს.***

— პუტინმა თავისი ე.წ. ვანკას თვალში საქართველოს ომი მოუგო, მაგრამ კიევს მან ომი ვერ მოუგო. კიევმა პუტინს ომი მოუგო ყველას თვალში, ვანკას ჩათვლით.

***— პუტინი არ ჩქარობს, თუმცა, თანდათან იკავებს უკრაინის ტერიტორიას.***

— მან იცის, რომ ეს არ გაუვა. ამიტომ პუტინს საკუთარი თავის გადასარჩენად ვანკას თვალში სჭირდება მოგება, რასაც ვერ მიაღწევს. ამიტომ თავისი ისტორიული როლისთვის ურჩევნია, რუსეთმა წააგოს ბირთვული ომი და დედა ეტიროს, ვიდრე წავიდეს გალახული. ეს არის რისკი. იმედი მაქვს, პუტინი ამას არ გააკეთებს, მაგრამ ამის რისკი არსებობს. თუ ძალიან ნათლად გამოჩნდება, რომ პუტინი ამას აკეთებს, მაშინ, ჩემი აზრით, მას რუსი გენერლები მოკლავენ.

***— ანუ პუტინი ბირთვულ ომს დაიწყებს უკრაინასთან?***

— უკრაინასთან არა, დასავლეთთან.

***— ანუ ბომბს ჩააგდებს დასავლეთში?***

— დიახ.

***— ამერიკას ესვრის ბომბს?***

— დიახ, ეს საშიშროება არსებობს. პუტინმა იცის, რომ რამდენიმე თვე სჭირდება დასავლეთს იმისათვის, რომ რადიკალურად გააუმჯობესოს თავისი საჰაერო თავდაცვა.

***— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ხომ მითხარით, რომ დასავლეთს რეალურად, მაღალ დონეზე აქვს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა.***

— აქვს, მაგრამ სრული მასშტაბი რომ მისცეს, ანუ ყველა თავისი სტრატეგიული დერეფანი რომ დაიცვას, ამისთვის რამდენიმე თვე სჭირდება. ამისთვის გადაავადეს ოპერაცია სირიაში ნახევარი წლით.

***— რუსეთს აქვს ამის საშუალება?***

— არა. სანამ დასავლეთი ამ სისტემას მთლიანად არ ააშენებს, რუსეთს შეუძლია სადღაც ერთი-ორი ატომური ბომბი შეუგდოს ამერიკის ტერიტორიაზე. მერე ამ საშუალებას კარგავს. ამიტომ პუტინს ურჩევნია, რომ ეს ომი ნოლზე არ წააგოს. შეიძლება ამიტომ ჩქარობდეს, რომ კონფლიქტი ადრე მოხდეს. აქედან მე ჩემი წარმოდგენა მიმყავს მოლაპარაკებასთან, რომელსაც ძალიან ცდილობს დასავლეთი. განსაკუთრებით ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი.

***— ანუ თქვენ ამბობთ, დასავლეთის მხრიდან მოლაპარაკებების მცდელობა და სანქციები, რომელზეც ისინი საუბრობენ, შედეგს არ გამოიღებს და საქმე ბირთვულ ომამდე მივა?***

— მე მგონი, საქმე ბირთვულ ომამდე არ მივა, მაგრამ მინდა მექანიზმი დავალაგო, რატომ მგონია, რომ საქმე ბირთვულ ომამდე არ მივა. რატომ უნდათ მოლაპარაკება რუსეთსა და უკრაინას შორის თავისი მონაწილეობით. დასავლეთს მოლაპარაკება იმიტომ უნდა, რომ პუტინი დაითანხმოს ასეთ ვარიანტზე: ლამაზ გამოსაძრომს დაგიტოვებთ, ისე, რომ შენი იმიჯი, როგორც ვაჟკაცუნა ტიპისა, გადარჩება.

***— ანუ რა მოხდება?***

— ანუ მოხდება ყირიმის სტატუსის მკვეთრი ამაღლება უკრაინის შემადგენლობიდან გასვლის გარეშე. ეს შეეხება, პირველ ყოვლისა, რუსული ენის სტატუსს. რუსული ენის სტატუსი როგორც უნდა გაადიდო უკრაინაში, ეს ამ ქვეყანას არავითარ ზარალს არ მოუტანს — არც როგორც სახელმწიფოს და არც როგორც სტრატეგიულ ძალას. იქნება და იქნება.

***— ბატონო ნოდარ, თუ გახსოვთ, უკრაინის დამოუკიდებლობის შემდეგ, ანუ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მოხდა ყირიმისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება?***

— სანამ ყირიმი იყო რუსეთის შემადგენლობაში, მას, როგორც მე მახსოვს, ავტონომიის სტატუსი არ ჰქონდა.

***— ყირიმი ხრუშჩოვმა გადასცა უკრაინას.***

— ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინას რომ გადასცა, ეს საჩუქარი არ იყო. სტალინის სიკვდილის შემდეგ უკრაინელების ცნობიერებაში ძალიან დიდი ადგილი ეჭირა იმ თემას, რომ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ გასული საუკუნის 20-იან წლებში მოუწყო ორგანიზებული მასობრივი შიმშილობა — ხალხი გაწყვიტა მასობრივად. ნაწილი ამ მიზანმიმართული ღონისძიებებისა, ემთხვევა კოლექტივიზაციას, მაგრამ მთლიანად — არა. ამიტომ უკრაინელი ხალხის ამ განწყობის გასანეიტრალებლად, ხრუშჩოვი იძულებული გახდა, მათთვის საჩუქრად ყირიმი მიეცა. მით უმეტეს, რომ თვითონ ხრუშჩოვი უკრაინის აპარატში ნამუშევარი იყო და მორალური ვალდებულება ჰქონდა მათ წინაშე. თორემ მუქთად, არავისთვის არაფერი მიუციათ.

***— ყირიმელი თათრები, რომელთა გამოც შეიძლებოდა მინიჭებოდათ ავტონომიის სტატუსი, ძალიან ცოტანი არიან და, როგორც ჩანს, მათ არავინ არაფერს ეკითხება.***

— თუ სწორად მახსოვს, ყირიმისთვის ავტონომიის სტატუსის მინიჭება მოხდა ამ ტერიტორიის უკრაინისთვის გადაცემასთან ერთად. ის რუსეთიდან, სადაც არსებობდა, როგორც უსტატუსო, გადავიდა უკრაინაში სტატუსიანი. თათრები რომ გაასახლეს, მაშინ იყო რუსეთის. თათრები რუსებმა გაასახლეს და არა უკრაინელებმა. მახსოვს, მაშინ იყო პავლენკოს რუსული რომანი „სჩასტიე“. ამ რომანში ჩამიხედავს. ეს იყო რაღაც სენტიმენტალური, საზიზღარი, ენამოჩლექილი აღწერა იმ ახალჩასახლებულთა ბედნიერებისა, ვინც გასახლებული თათრების სახლებში ჩასახლდა. ასეთ განწყობილებას უსათუოდ სჭირდება რაღაც ძლიერი მონანიება. ამ მონანიებისთვის მისცეს რუსებმა უკრაინელებს ყირიმი.

***— კომუნისტებს მონანიება ახასიათებდათ?***

— იძულებით. რატომ ამხილეს, ვთქვათ, 30-იანი წლების მხეცობები? რატომ აღიარეს, რომ სტალინის დროს დაახლოებით 60 მილიონი არის განადგურებული.

***— ისე, ფილმი ვნახე უკრაინის შიმშილობის პერიოდზე და იმდენად შემზარავი ფაქტები იყო, აზრი გამიჩნდა, რომ რუსებთან ერთად ამ საშინელი გენოციდის მოწყობაში მონაწილე სტალინზე ქართველებმა უარი უნდა ვთქვათ.***

— მე ახლახან წამაკითხეს ლექცია ერთ-ერთ უნივერსიტეტში და შემდეგ ერთ-ერთმა ტელევიზიამ ჩაიწერა ინტერვიუ, როგორც თითქმის ერთადერთი ცოცხალი მოწმე 9 მარტის ამბებისა. ბუნებრივია, სტალინზე იყო ლაპარაკი. მე ვთქვი, რომ თავმოყვარე ქართველს არ აქვს უფლება, სტალინს თაყვანს სცემდეს. უთავმოყვარეოს ყველაფრის უფლება აქვს. სტალინი იყო პირადად ჩემი ქვეყნის მტერი. ამიტომ უფლება არ მაქვს, თაყვანს ვცემდე.

***— უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო



# თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“

## კოდი — 124

**უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას:**

**ბაკალავრიატი:**

*სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტი:*
ბიზნესის ადმინისტრირება
ტურიზმი

*იურიდიული ფაკულტეტი:*
სამართალი

*ჯანმრთელობის დაცვის ფაკულტეტი:*
სტომატოლოგია

*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:*
ფილოლოგია (ინგლისური)

**მაგისტრატურა:**
ბიზნესის ადმინისტრირება (საერთაშორისო პროგრამა)

## უნივერსიტეტის მისია

ხარისხიანი, ხელმისაწვდომი, თანამედროვე განათლების უზრუნველყოფა ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, გამოცდილი და აგრეთვე, ახალი ფორმაციის სპეციალისტების კვალიფიკაციის მეშვეობით, მათ გააჩნიათ, უშუალოდ მეცნიერებაში, წარმოებასა და სამეწარმეო საქმიანობაში მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის უნარი და ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ, ხელი შეუწყონ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

თანამედროვე სასწავლო კორპუსი ქალაქის ცენტრში, კომპიუტერიზებული ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, კომპიუტერული კლასები, იურიდიული კლინიკა, სასამართლო დარბაზი იმიტირებული პროცესებისათვის, სტომატოლოგიური კაბინეტები და საკონფერენციო დარბაზები.

სტუდენტები პრაქტიკას გადიან ტურისტულ ფირმებსა და სასტუმროებში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საადვოკატო ოფისებში.

წარჩინებული სტუდენტები იღებენ სტიპენდიას.

## მიმდინარე სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ TEMPUS-ის სამწლიან პროექტში

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია. ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნესკომუნიკაციის თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის, პროფესიული საქმიანობის, პრაქტიკული უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამა არის 120-კრედიტიანი, რომლის დასრულების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. პროგრამა შემუშავდა ჰოლანდიის უნივერსიტეტთან – New European University და გაიცემა ორმაგი დიპლომი.



უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მზია ქათამაძე** ევროპის რექტორთა კლუბის წევრია. კლუბის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყანაში წელიწადში რამდენჯერმე იმართება, რაც უნივერსიტეტს უცხოელ კოლეგებთან, ევროპის უმაღლეს სასწავლებლებთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებაში ეხმარება. ამ ურთიერთობების შედეგია საქმიანი კონტაქტები და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები საფრანგეთის, ჰოლანდიის, ჩეხეთის, აშშ-ის და ლატვიის პრესტიჟულ უნივერსიტეტებთან.

„ერთი მთლიანი უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა“, — ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს ეს სიტყვები საფუძველია ჩვენი უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრებისა. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“ ესაა სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ერთი მთლიანი, მუდამ განახლებადი სისტემა, რომელიც საერთო საქმეს — სტუდენტებისთვის კვალიფიციური განათლების მიცემას ემსახურება. ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია თითოეული სტუდენტი, მათი იდეები და შეხედულებები. გიწვევთ ჩვენთან სასწავლებლად და სათანამშრომლოდ. გახსოვდეთ — „ჩვენ ვზრდით პროფესიონალებს! — თქვენი მომავალი გარანტირებულია“. უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მზია ქათამაძე.

**მისამართი:**
**თბილისის, ვაკე,**
**ილია ჭავჭავაძის გამზ.**
**მეორე ჩიხი №5ა**
**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
**2 91 50 33; 2 10 58 75; 2 91 50 08**
**www.gorgasali.edu.ge**
**Facebook:**
**www.facebook.com/UniversityGorgasali**

# ახმეტელის თეატრს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს

ეკა ირემაშვილი

**სანდრო ახმეტელის სახელობის თბილისის მუნიციპალური თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს. ეს თანამდებობა ახალგაზრდა რეჟისორმა ირაკლი გოგიამ დაიკავა, რომელიც მანამდე ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა.**



როგორც რეჟისორმა „ახალ თაობას" განუცხადა, ის ნოემბრის თვიდან ახმეტელის თეატრის მთავარი რეჟისორია, ამიტომ თეატრისა და მისი წევრების გაცნობა საკმარისად მოასწრო. სწორედ ირაკლი გოგიას უშუალო ინიციატივით ჩამოვიდნენ ამ თეატრში უცხოელი ესტონელი და პოლონელი რეჟისორები და სპექტაკლები დადგეს.

რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ახალი სამხატვრო ხელმძღვანელისგან ახმეტელის თეატრში, ამაზე რეჟისორი „ახალ თაობას" ესაუბრა.

**ირაკლი გოგია, რეჟისორი:**

– გიდასტურებთ ინფორმაციას, ნამდვილად ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვარ. ყველაზე მეტად უფრო იმიტომ გამიხარდა ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, რომ ის ჩემზე პატარაა წლოვანებით და უფრო ამაყი ვარ, რომ ახალი თაობა უდგას საქართველოს სათავეში. ძალიან კარგად ართმევს თავს ჩვენი პრემიერ მინისტრი ამხელა გეოპოლიტიკურად გაჭედილი ქვეყნის მართვას, მასზე ორი წლით უფროსი ვარ და მიმაჩნია, რომ შეიძლება ჩემი უფროსი კოლეგების დახმარებით, გავართვა ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას თავი. კარგად მესმის, რომ ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა, ერთ-ერთი რეგიონალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი მანამდეც ვიყავი 23 წლის ასაკში და ეს არის ზუგდიდის თეატრი. 4,5 წელი ვმართავდი ზუგდიდის თეატრს. ახალგაზრდულობის ჩართულობას ქვეყნის მართვის საკითხებში, მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები, ასევეა თეატრშიც. როგორც წესი, ახალგაზრდები „ჭკუის დამრიგებლად" იყენებენ უფროს თაობას და ერთად აშენებენ ქვეყანას და კონკრეტულ დარგებს.

– რა პრიორიტეტები გაქვთ ახმეტელის თეატრთან დაკავშირებით?

– უკვე მაქვს ჩემეული ხედვები ამ თეატრთან დაკავშირებით.

– *უფრო კონკრეტულად?*

– გეგმები ბევრია, რომელიც ეტაპობრივად უნდა განვახორციელოთ. ქართველი რეჟისორები ჩვეულებრივად მოვლენ და დადგამენ სპექტაკლებს ახმეტელის თეატრში. მოლაპარაკება შემდგარია გოჩა კაპანაძესთან, მედეა კუჭუხიძესთან, ასევე ახალგაზრდა რეჟისორებთან. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თეატრის დასი აუცილებლად შეივსება ახალგაზრდა მსახიობებით.

– *ამისთვის კონკურსს გამოაცხადებთ?*

– შევხედავთ სიტუაციას და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ. ყველაფერი წავა ისე, როგორც საჭიროა. ჩემთვის მთავარია, რომ დასი ერთად არის შეკრული, ერთიანია და მზად არის მხოლოდ და მხოლოდ მუშაობისთვის.

– *კარგად იცნობთ ახმეტელის თეატრს?*

– ახმეტელის თეატრის მთავარი რეჟისორი ვარ ნოემბრის თვიდან, ამიტომ შემიძლია თქვა, რომ ამ თეატრს ვიცნობ. დავიწყე კიდეც სპექტაკლის დადგმა, მაგრამ რიგი მიზეზების გამო, შევაჩერე. შემდეგ უკვე სცენა დავუთმეთ უცხოელ რეჟისორებს, რომლებიც ჩამოვიდნენ თბილისში. 4 თვეში ეს თეატრი კარგად გავიცანი და რაც მთავარია, თეატრმაც კარგად გამიცნო.

– *თქვენ დადგამთ სპექტაკლს ახმეტელის თეატრში?*

– აუცილებლად. ცნობილი ქართველი დრამატურგი რეზო კლდიაშვილი სპეციალურად ჩვენი თეატრისთვის ამთავრებს პიესას, რომლის სათაურიც ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. ბატონმა რეზომ მე მომცა ამ პიესის პირველად დადგმის უფლება. ასევე დაწყებული მაქვს ერთი პიესა, როგორც კი მივედი ამ თეატრში. ეს არის ახალგაზრდა გერმანელი დრამატურგის პიესა „ოფისი". შემდეგ სეზონში სექტემბრიდან აღდგება ახმეტელის თეატრში ამ თეატრის დამაარსებლის ლერი პაქსაშვილის სპექტაკლი, რომლითაც გაიხსნა თავის დროზე ეს თეატრი „მთანი მაღალნი".

– *ვინ აღადგენს სპექტაკლს?*

– მას აღადგენენ ამ სპექტაკლს ის მსახიობები, რომლებიც მაშინ ახალგაზრდები იყვნენ და მასში მონაწილეობდნენ. ისინი შეიყვანენ ახალგაზრდა მსახიობებს და მათთან ერთად თვითონაც ითამაშებენ.

– *ახალგაზრდა მსახიობების მოყვანას და რეორგანიზაციას უმტკივნეულოდ შეძლებთ?*

– ეს პროცესები ანუ თეატრში ახალგაზრდების მოსვლის საკითხი მტკივნეული არანაირად არ არის. როცა ახმეტელის თეატრის ბოლო პრემიერას ვუყურებდი, ნახევარი მსახიობებისა ახალგაზრდები იყვნენ და ნახევარი „ძველგაზრდები". მიხაროდა, როცა ვხედავდი, ძველი თაობის მსახიობები როგორ მთელი გულით ჩართული გვერდზე ედგნენ ახალგაზრდებს, რომ თითქოს მათ უფრო მეტი გამოსვლოდათ, ვიდრე თვითონ, მათ უფრო მეტ ენერგიას აძლევდნენ და ათამამებდნენ. ეს პროცესი რომ დავინახე და მომეწონა, ამის იმედი მაქვს. ამ თეატრში ძალიან პატარა დასია და რეორგანიზაცია არ ითვალისწინებს ვინმეს გაშვებას ან ვინმეს მოყვანას, პირიქით, რეორგანიზაცია დასის გაზრდას ითვალისწინებს და არანაირად შემცირებას.

– *როგორც წესი, ახალი ხელმძღვანელი ხომ თავისი გუნდით მოდის?*

– ეს თეატრი იმ რაოდენობის თანამშრომლებს არ ითვალისწინებს, რამდენიც არის. თეატრში თითო ადამიანი ხუთ-ხუთ საქმეს აკეთებს. თეატრი პატარაა და ფიზიკურად ისეა ჩართული ეს ხალხი საქმეებში, რომ თუ არ დაამატებ ხალხს, თორემ მოსაკლები არაფერი სჭირს.

# სერგეი ბეზრუკოვს საქართველოში სპექტაკლები მოუხსნეს

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს კულტურის პალატის გადაწყვეტილებით, მაისის თვეში სერგეი ბეზრუკოვის თბილისური გასტროლი მოხსნილია. ამის მიზეზი რუსეთის სახალხო არტისტების წერილი გახდა, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს მეზობელი ქვეყნის უკრაინის ტერიტორიის ოკუპაციაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის პალატამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც წერია:**

„საქართველოს კულტურის პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, გაუქმდეს მაისში დაგეგმილი სერგეი ბეზრუკოვის თეატრის გასტროლები თბილისში. კიდევ ერთხელ გვინდა გამოვუცხადოთ მხარდაჭერა უკრაინას მის სუვერენიტეტს ტერიტორიულ მთლიანობას და ჩვენ მეგობარ გმირ უკრაინელ ხალხს".

თავის მხრივ საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილი აღნიშნავს, რომ:

„საქართველოში არასოდეს არც ერთ მსახიობს არ ჩამოვიყვან, ვინც ანტიდემოკრატიულ გადაწყვეტილებას მიიღებს ჩვენი ქვეყნის წინაშე, ნებისმიერი ფორმით. ეს იგივეა, რომ მხარი დაუჭირონ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას. ყველაზე საშინელება ის არის, როდესაც კულტურის მუშაკები პოლიტიკურ ავანტიურაში ერევიან. მან თეატრის ხელმძღვანელობას უკვე აცნობა, მაისში ბეზრუკოვის სპექტაკლის თბილისში გაუქმების და ამის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

„ბეზრუკოვის თეატრის დირექტორს ოფიციალურად მივწერე. პასუხი ჯერჯერობით არ ყოფილა, მაგრამ რა პასუხიც არ უნდა გვითხრან, მე ნაკლებად მაინტერესებს. ყველაზე საშინელება ისაა, როდესაც კულტურის მუშაკები პოლიტიკურ ავანტიურაში ერევიან. ჩემთვის გასაოცარი იყო ბეზრუკოვის ეს განცხადება, იქიდან გამომდინარე, რომ ოლიმპიადის მსვლელობისას მან სულ სხვა განცხადება გააკეთა და დაგმო ის, რაც უკრაინაში ხდებოდა. მაგრამ რა მოხდა გუშინ და რატომ მიიღეს ასეთი განცხადება, არ ვიცი. საქართველოში ჩამოსვლის სურვილი თავად რუს მსახიობს ჰქონდა და ეს ქართული მხარის ინიციატივა არ ყოფილა. გული მწყდება იმის გამო, რომ რუსეთის პრეზიდენტის მხარდამჭერ განცხადებას ხელს ბევრი პატივსაცემი ადამიანი აწერს, თუმცა ჩემი დამოკიდებულება ამ ადამიანების მიმართ ახლა რადიკალურად შეიცვალა".



განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს 86 ხელოვანი, წერია:

„მაშინ, როდესაც ყირიმის და ჩვენი თანამემამულეების ბედი წყდება, რუსეთის კულტურის მოღვაწეებს არ შეგვიძლია, ყველაფერს გულგრილად ვუყუროთ. ჩვენი საერთო ისტორია და ფესვები, ჩვენი კულტურა, სულიერი წყაროები, ფუნდამენტალური ფასეულობები და ენა, სამუდამოდ გვაერთიანებს. გვსურს, ჩვენ ერს და კულტურას მტკიცე მომავალი ჰქონდეს, სწორედ ამიტომ მტკიცედ ვუჭერთ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის პოზიციას უკრაინასა და ყირიმთან მიმართებაში".

ხელმომწერთა შორის არიან სერგეი ბეზრუკოვი, იური ბაშმეტი, ნადეჟდა ბაბკინა, ფიოდორ ბონდარჩუკი, მიხეილ ბოიარსკი, ოლეგ გაზმანოვი, ვალერი გერგიევი, ლევ ლეშჩენკო, ოლეგ ტაბაკოვი, ზურაბ წერეთელი, ნიკოლოზ ცისკარიძე.

ამ განცხადებით, რომელიც რუსეთის კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეა გავრცელებული, რუსეთის კულტურის მოღვაწეები უკრაინის, კერძოდ, ყირიმის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის პოზიციას მხარდაჭერას უცხადებენ.

ზურაბ წერეთლის წარმომადგენელი ირწმუნება, რომ ქართველ ხელოვანს არანაირ განცხადებაზე ხელი არ მოუწერია და ის არასდროს არ აწერს ხელს პოლიტიკურ განცხადებებს, თუმცა ფაქტი ჯიუტია, ზურაბ წერეთლის ხელმოწერა ამ განცხადებაზე დაფიქსირებულია.

რაც შეეხება სერგეი ბეზრუკოვს, ის აცხადებს, რომ ყირიმში ადამიანებმა თავად უნდა აირჩიონ, როგორ იცხოვრონ:

„ყირიმის შესახებ! მე ყირიმში სამართლიან რეფერენდუმს ვემხრობი! ადამიანებმა თავად უნდა აირჩიონ, როგორ იცხოვრონ! მათ ამის სრული უფლება აქვთ!", – მიაჩნია მსახიობს.

ყირიმში 16 მარტისთვის რეფერენდუმის ჩატარებაა დაგეგმილი. რეფერენდუმით,

ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებლები ყირიმის ნახევარკუნძულის სტატუსს განსაზღვრავენ. თუკი 16 მარტის რეფერენდუმში ყირიმის მოსახლეობა ავტონომიური რესპუბლიკის რუსეთთან შეერთებას მისცემს ხმას, რეფერენდუმის შემდეგ, ყირიმი

დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდება.



**წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს:**

**თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის" ანგარიშზე: GE95LB071115428681940**

**☎ 577-544-222, 598-204-570**


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულებისმოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

# ლიგა იტალიელთა გარეშე გაგრძელდება

**ბაიერნი – არსენალი 1:1**

1:0 შვაინშტაიგერი (55), 1:1 პოდოლსკი (57)

90-ე წუთზე მიულერმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, მარტინესი, დანტე, ალაბა, შვაინშტაიგერი, ტიაგო, რობენი, გიოტცე (კროოსი 59), რიბერი (მიულერი 85), მანჯუკიჩი

**არსენალი:** ფაბიანსკი, სანია, მერტეზაკერი, კოსელნი, ვერმაელენი, არტეტა (გნაბრი 77), ჩემბერლენი (ფლამინი 84), კასორლა, იოზილი (როსიცკი 46), პოდოლსკი, ჟირუ

ზედიზედ მეორე წელია „ბაიერნი“ მერვედფინალურ ეტაპზე ლონდონის „არსენალს“ ამარცხებს. ერთია, მიუნხენელებმა ამჯერადაც ვერ მოახერხეს მეტოქის საკუთარ მოედანზე დამარცხება, მაგრამ თუ გასულ წელს „მეთოფეებმა“ მოიგეს „ალიანს არენაზე“, წელს მხოლოდ ფრეს გამორჩნენ.

პეპ გვარდიოლას გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში აკონტროლებდა სიტუაციას, მის ნებაზე მიჰყავდა თამაშის რიტმი და თუ ოდნავი პრობლემა შეექმნებოდა, დამატებითი რესურსის შანსიც ჰქონდა. ხოლო თუ „ბაიერნი“ მტელი ძალით ათამაშდა, მის წინააღმდეგ დადგომა ურთულესი საქმეა ნებისმიერი გუნდისთვის.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 55-ე წუთზე გაიხსნა. მასპინძელთა შეტევის მარცხენა ფლანგზე მოთამაშე რიბერის მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს, მანაც საჯარიმოში უმეთვალყუროდ დარჩენილი შვაინშტაიგერი მოძებნა და – 1:0.

„არსენალმა“ მალევე გაათანაბრა. პოდოლსკიმ ლამს ბურთი აართვა და მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შესულმა გერმანელმა, თავის ყოფილ გუნდს გაუტანა. გოლი საეჭვოც ჩანდა – თითქოს პოდოლსკი მეტოქესთან ორთაბრძოლაში დაჯარიმდა კიდეც...

ბოლო წუთზე წუთზე „ბაიერნს“ თამაშის მოგების ძალიან კარგი შანსი მიეცა, მაგრამ მიულერმა რობენის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლუკაშ ფაბიანსკი**

„არსენალის“ პოლონელმა მეკარემ ჩინებულად ჩეცვალა მისივე თანამემამულე ვოიცეხ სჩესნი, რომელიც პირველ მატჩში მოედნიდან იქნა გაძევებული. სერიოზული შეცდომები არ დაუშვია და დაამტკიცა, რომ ლონდონელებს მეორე საიმედო მეკარეც ჰყავთ. ჰო, პოლონელი ეროვნული გუნდის წევრია და საქართველოს მეტოქე მორიგ შესარჩევში.

**ატლეტიკო – მილანი 4:1**

1:0 კოსტა (3), 1:1 კაკა (27), 2:1 თურანი (40), 3:1 გარსია (70), 4:1 კოსტა (85)

**ატლეტიკო:** კურტუა, ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე, თურანი (როდრიგესი 78), გაბი, სუარესი, კოკე (დიეგო 81), გარსია (სოსა 72), კოსტა

**მილანი:** აბიატი, აბატე, რამი, ბონერა, ემანუელსონი, დე იონგი (მუნტარი 78), ესიენი (პაცინი 69), ტაარაბტი (რობინიო 46), პოლი, კაკა, ბალოტელი

როგორც გაირკვა, „ატლეტიკოს“ იტალიაში შემთხვევით არ მოუგია. მადრიდელები საშინაო მატჩშიც იოლად გაუსწროდნენ მეტოქეს. მილანელები ყველა პარამეტრში ჩამორჩებოდნენ მეტოქეს და უკვე მე-3 წუთზე აგრძნობიეს რომ ტყუილად ჰქონდათ რამეს იმედი. მართალია, „მილანმა“ მალავე გაათანაბრა, მაგრამ ჯერ კიდევ პირველ ტაიმშივე დაწინაურდა „ატლეტიკო“, მეორეში კი ბოლო მოუღო.

მეორე ტაიმი უფრო ფორმალობად იქცა – „ატლეტიკომ“ სეირნობაში გაატარა დრო. ესპანელთა მეკარეს საქმე არ ჰქონია, შემტევები კი მშვიდად აკეთებდნენ საქმეს და ასევე მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე.

„მილანი“ იტალიის ერთადერთი წარმომადგენელი იყო და ისიც დაემშვიდობა.

მე-3 წუთზე, კოკეს ჩაწოდების შემდეგ დიეგო კოსტამ ძალიან ეფექტური გოლი გაიტანა. პირველი ტაიმის შუაში უპირატესობა ხელთ სტუმრებმა იგდეს და კაკას გამთანაბრებელი მოჰყვა.

კაკას გოლის შემდეგ, „მილანს“ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ერთი გოლი ჭირდებოდა, ოღონდ თავად არ უნდა გაეშვათ. თუმცა, გაშვებაც არის და გაშვებაც. მე-40 წუთზე, არდა თურანმა საჯარიმოს გარედან დაარტყა და რიკოშეტით ბურთი კარში აღმოჩნდა.

მე-2 ტაიმი მადრიდელებმა მეტოქეს კიდევ 2 გოლი გაუტანეს. 70-ე წუთზე, გაბის პასით რაულ გარსიამ იხეირა, ხოლო 15 წუთში, შეცვლაზე შესულ სოსას გარჯა დიეგო კოსტამ დაუფასა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რაულ გარსია**

ძალიან ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშა მადრიდელთა ნახევარმცველმა. გამუდმებით ტერორში ჰყავდა მეტოქის მცველები, მართავდა მისი გუნდის შეტევებს და დაუფასდა კიდეც – გოლი და საგოლე პასი მის ანგარიშზე.

# რევაზ არველაძე: ინციდენტი ყველგან ხდება, გარიგებულ თამაშებს ყურადღებას მივაქცევთ



ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის მომხდარი ინციდენტი კარგი რეკლამა გამოდგა საქართველოს ჩემპიონატისთვის. მას შემდეგ დღე არ გავა, რომელიმე არხმა რამე გადაცემაში არ მიიწვიოს საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები. ეს ფაქტი საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამაც დააფიქსირა და ერთ-ერთ გადაცემაში ლარნაკადან ჩართვის დროს, სადაც ღიად განაცხადა, ახლა რომ გახსენდებათ საქართველოს ჩემპიონატი, ხანდახან ანგარიშებიც გამოაცხადეთ ხალხმა რამე რომ გაიგოსო.

საქართველოს ჩემპიონატის პოპულარიზაციის დიდი ნაწილი ბეჭდურ მედიაზე უფრო მოდის, მაგრამ ეს უკვე ზემო ინსტანციებს არ აინტერესებთ – ისინი უფრო გაპიარებული ტელევიზიებით არიან. ასე რომ, ხანდახან წერე და იკითხეს პოზიცია გამოგვდის, მაგრამ ჩვენ შევეცდებით ჩვენი გასაკეთებელი ბოლომდე გავაკეთოთ.

გუშინ გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ ინიციატივით ჟურნალისტებთან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, რევაზ არველაძის შეხვედრა შედგა, რომლის ძირითადი საკითხები ზემოთ ნახსენები ინციდენტი და ხმებით გამოსული ჩაწყობილი მატჩები იყო.

***– ქუთაისში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ბრალს ფედერაციას სდებენ.***

– როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში ფედერაციის ბრალეულობა იყოს რამე. მსგავსი რამ ყველგან ხდება და უფრო განვითარებულ ქვეყნებში. არსებობს დიდი თამაშები, სადაც ასევე წინასწარ არის ცნობილი რომ ინციდენტი გარდაუვალია. მსგავსი მოხდა ჩვენთანაც – ართული საზომებით „დინამოც“ და „ტორპედოც“ ორივე დიდი გუნდია. ეს ერთის მხრივ კარგია, მეორეს მხრივ დიდ რისკთანაც არის დაკავშირებული. ამაზე კი პასუხისმგებელი მასპინძელი მხარეა და არა ფედერაცია, რომელმაც შეაფასა თამაში, როგორც მაღალი რისკის მქონედ და მიავლინა სპეციალისტები. მათი კომენტარებიდანაც ჩანს, რომ ქუთაისში ყველაფერი ორგანიზებული იყო, მაგრამ გაიპარა პატარა შეცდომა, რასაც ეს მოჰყვა. გარდა ამისა, თავად მონაწილეები ამბობენ, რომ ეს იყო პასუხი პირველ წრეში მომხდარი ინციდენტის და აქედან გამომდინარე კიდევ უფრო გაურკვეველია რაშია ფედერაცია დამნაშავე.

***– გაურკვეველია ქუთაისელთა განცხადებაც, რომლებიც ითხოვდნენ მატჩზე დასასწრებად არ ჩასულიყვნენ თბილისელი გულშემატკივრები. როგორც ჩანს, არ ჰქონდათ საფრთხის თავიდან აცილების იმედი.***

– ვერ დაგეთანხმებით. მსგავსი რამაც მირებულია ევროპუ ფეხბურთში. მაგალითად, „ფეინოორდის“ ფანები ვერ ჩადიან „აიაქსთან“ თამაშზე და – პირიქით.

***– ასევე გაურკვეველია რომან ფიფიას განცხადება, როდესაც სხვის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე იშვერს ხელს, ამ დროს კი, მისივე სტადიონზე ორჯერ მცირეოდენ სისხლისღვრას ჰქონდა ადგილი და გუნდი არცერთხელ არ დასჯილა სერიოზულად. გარდა ამისა, ველოდით, რომ „ტორპედო“ უფრო მკაცრად დაისჯებოდა.***

– ჩემი აზრით, სანქციები, რომელიც სადისციპლინო კომიტეტმა დაუწესა კლუბებს, ძალიანაც ადეკვატური იყო. ფეხბურთის ფედერაცია, ასეთ კონკრეტულ შემთხვევაზე, გზადაგზა კი არ იგონებს სანქციებს, არამედ ყველა დანაშაულს აქვს თავისი გაწერილი სანქცია. სადისციპლიონო და სააპელაციო გადაწყვეტილებებში ფეხბურთის ფედერაცია არ ერევა. ჩაერევა მხოლოდ აღმასკომის სახით, იმ შემთხვევაში, თუკი მოჰყვება ამას გაგრძელება და უკმაყოფილება.

***– არის ხმები, რომ აღმასკომი „ტორპედოს“ სანქციებს შეუმცირებს.***

– წინასწარ ვერაფერს გეტყვით, მე არც აღმასკომის წევრი არ ვარ.

***– იმსახურებდა თუ არა „დინამოს“ ესპანელი ლეგიონერი ჩისკო დისკვალიფიკაციას, რომელიც „დაზარალებულის“ როლში აღმოჩნდა.***

– ასეთ დროს ფეხბურთელი ვალდებულია გაერიდოს სიტუაციას და არ გაამწვავოს.

***– არის ეჭვები, რომ ბოლო ტურებში ადგილი ჰქონდათ გარიგებულ მატჩებზე, რომლებიც ექვსეულებად დაყოფის შემდეგაც გაგრძელდება.***

– ჩაწყობილი თამაშების გამოძიება სამართალდამცავების პრეროგატივაა, მაგრამ სადაც რამე მსგავსი მომხდარა, ეს ყოველთვის ფაქტებზე დაყრდნობით ვლინდება და არა ეჭვებით – სატელეფონო მოსმენით, ვიდეოგადაღებით და ა.შ. შარშანწინ, სანამ არ დაგვიდეს ფაქტები და არ გვაჩვენეს, რეაგირება არ ყოფილა. ჩვენ ახლაც მივმართავთ საგამოძიებო სტრუქტურას, მათთან გვაქვს ხელშეკრულებაც და მისი თანამშრომლობა. ჩვენი ფეხბურთი არ არის იმ დონეზე, როგორც უნდა იყოს, ამიტომ არის, რომ ვილაცა სამ ქულას თმობს, ექვსის სანაცვლოდ და ა.შ. ეს თუ დამტკიცდება, ამნისტიები აღარ იქნება, როგორც ეს ადრე მოხდა, სწორედ ამის გამოძახილია ის, რაც დღეს ხდება. ამნისტია კი არ უნდა ყოფილიყო, მეტი სასჯელი უნდა ყოფილიყო, ოღონდ დიფერენცირებული, რადგან ყველას თანაბარი ბრალეულობა რ ჰქონდა, ზოგი უნდა მოიკვეთოს, ზოგი ციხეში წავიდეს, რომ ეს საქმე აღარ გააკეთოს. თუკი ის გუნდები, რომლებზეც საუბარი მიდის, მიიღებენ ექვს ქულას და ამაში იქნება საფუძვლიანი ეჭვი, ბუნებრივია, იქნება უმკაცრესი სანქციები, თუმცა თბილისის „დინამომ“ რომ სიონთან ექვსი ქულა აიღოს, ამაში გასაკვირი არაფერი იქნება.

# კაცი მაგნიტი საქართველოში

~~სპორტისა და ახალგა~~ზრდობის საქმეთას სამინისტროში გინესის რეკორდსმენის – ეგრეთ წოდებული „კაცი მაგნიტის“ – ეტიბარ ელჩიევ-ბუდაღლის და კავკასიის მსოფლიო რეკორდების ფედერაციის გენერალური მდივნის – შოთა ქელდიშვილის პრესკონფერენცია გაიმართა.

პრესკონფერენციაზე წარმოადგინეს 2014 წლის გინესის რეკორდების წიგნი, სადაც შესულია ეტიბარ ელჩიევის სპორტული მიღწევა – იტალიის და ჩინეთის შედეგები – მაგნიტიზმის მეშვეობით სხეულზე 52 კოვზის მიკვრა.

ეტიბარ ელჩიევი – საქართველოს მოქალაქეა, წარმოშობით აზერბაიჯანელი, დაბადებული თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოსალარში.

პრესკონფერენციაზე, რომელსაც აზერბაიჯანელი და ქართველი ჟურნალისტები ესწრებოდნენ ითქვა, რომ „კაცი მაგნიტი“ სამომავლოდ გეგმავს ახალი პროექტების განხორციელებას, კერძოდ კი კოვზების რაოდენობის გაზრდას, ავტომობილის გაწევას და სხვა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ათეული წელია (ჯუმბერ ლეჟავას, გოდერძი მახარაძის და დიმიტრი ქინქლაძის მიღწევების შემდეგ) საქართველოს გინესის რეკორდსმენი აღარ ჰყოლია.

# 17-წლამდელები ელიტრაუნდისთვის ემზადებიან

ელიტრაუნდისწინა დასკვნითი შეკრება დაიწყო საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა. ნოდარ აკობიამ ფეხბურთელები სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ შეკრიბა, სადაც გუნდი სერბეთში გამგზავრებამდე იცხოვრებს.

ამჟამად, შეკრებაზე 22 ფეხბურთელი იმყოფება:

მეკარეები: ოთო გოშაძე, ბექა ქურდაძე (ორივე საბურთალო);

მცველები: ვახტანგ კაპანაძე, ანდრო ნემსაძე, ვასილ კაციტაძე (ყველა დინამო თბ), რატი კაკიაშვილი, ცოტნე ნადარაია (ორივე საბურთალო), ირაკლი კამლაძე (ლოკომოტივი), გიორგი ქობულაძე, თორნიკე გაფრინდაშვილი (ორივე 35-ე სკოლა), საბა ჟღენტი (ვიტ ჯორჯია), ამირან გოგიაშვილი (დილა);

ნახევარმცველები: გიორგი ბერიძე (დილა 2), ირაკლი კომახიძე (შუქურა), ნიკა ლაშხია (დინამო თბ), გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი), გურამ გოშთელიანი, ლადო მამუჩაშვილი (ორივე საბურთალო), ნიკა ქორიძე (რეჯანა, იტალია);

თავდამსხმელები: ბექა მიქელთაძე (ზესტაფონი), გიორგი ჯობავა (ოსერი, საფრანგეთი), გიორგი წივილაშვილი (საბურთალო).

საწვრთნელი შეკრების ფარგლებში, 14 მარტს, 17-წლამდელები ტესტ-მატჩს გამართავენ თბილისის „ლოკომოტივთან“. მატჩი ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ გაიმართება და 16:00 საათზე დაიწყება. უახლოეს დღეებში გაირკვევა მომდევნო ტესტ-მატჩის გამართვის თარიღიც.

შეგახსენებთ, რომ 17-წლამდე ნაკრები ელიტრაუნდს სერბეთში ითამაშებს. გუნდი ბელგრადში 24 მარტს გაემგზავრება. ელიტრაუნდის მატჩა განრიგი კი ასეთია:

26 მარტი: გერმანია-საქართველო; სერბეთი-ირლანდია;
28 მარტი: გერმანია-ირლანდია; საქართველო-სერბეთი;
31 მარტი: სერბეთი-გერმანია; ირლანდია-საქართველო;

# ელენე ნანობაშვილი საქართველოს ჩემპიონია

ჩატარდა საქართველოს პირველობა 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის ხმალში. ტიტულის მოსაპოვებლად ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონის ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის კლუბის მოფარიკავეები ანი აფრასიძე და ელენე ნანობაშვილი დაუპირისპირდნენ. დაძაბულ ორთაბრძოლაში 15:14 ნანობაშვილმა გაიმარჯვა.

ელენე ნანობაშვილისთვის ეს პირველი ტიტული არ არის. ის საქართველოს ორგზის ჩემპიონია, არის აგრეთვე სერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ევროპის თასის პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში.

ანი აფრასიძე კი საქართველოს ჩემპიონი კადეტებს შორის, აფხაზეთის სერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული მსოფლიო პრიზიორი 15 წლამდე რომელიც გაიმართა იტალიის ქალაქ [illegible]. ევროპის თასის ჩემპიონი 15 წლამდე ასაკში, ევროპის თასის პრიზიორი გუნდურ ჩათვლაში.

ორივე სპორტსმენი ახლა მერაბ ბაზაძისა და ქეთევან ერემეიშვილის ხელმძღვანელობით მსოფლიოს პირველობაზე წასასვლელად ემზადება, რომელიც ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ჩატარდება.

# დავით ქირია მსოფლიოს ჩემპიონია

ხორვატიის დედაქალაქმა ზაგრებმა კიკბოქსინგში საპრომოუტერო კომპანია „გლორის“ მიერ ორგანიზებულ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა, რომლის გამარჯვებულიც ქართველი კიკბოქსიორი დავით ქირია (70 კგ-მდე) გახდა.

26 წლის ქირიამ ფინალურ შეხვედრაში სურინამელი ენდი რისტი მე-5 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ „გლორის“ ოფიციალურ რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფ ენდი რისტის ზურგს 44 გამარჯვება უმაგრებდა და მხოლოდ 3 მარცხი ჰქონდა, თუმცა, ქართველ მებრძოლთან მაინც ვერაფერს გახდა. დავით ქირიას აქტივში 22 მოგება (8 ნოკაუტით) და 8 მარცხია. ამჟამად, ქართველ სპორტსმენს კლასიფიკაციაში მე-3 პოზიცია უკავია.

# ზაზა ფაჩულიას სარეკორდო პასები

„მილუოკიმ“ მინესოტაში „ტიმბერვულვზთან“ 101:112 კი წააგო, თუმცა ეს მატჩი ქართველი ცენტრისთვის გამორჩეული იყო. ფაჩულიამ ნბა-ს 11-წლიან კარიერაში შედეგიან პასებში პირადი რეკორდი დაამყარა. ზაზამ თანაგუნდელები 10 პასით მოამარაგა, რაც ცენტრის პოზიციის მოთამაშესთვის უდავოდ შესაშური შედეგია. პირად რეკორდთან ერთად ფაჩულიას წარმატება იმაშიც გამოიხატა, რომ ის მინესოტელებთან მატჩში მილუოკელთაგან ყველაზე შედეგიან მოთამაშედ დასახელდა. მართალია, 21 ქულით ბომბარდირი ბრენდონ ნაითი გახდა, მაგრამ მხოლოდ ქულებით შედეგიანი მოთამაშე რომ არ სახელდება, ყველამ კარგად იცის. ფაჩულიამ ყველა სტატისტიკური მონაცემის ერთიანობით დაიმსახურა საუკეთესოობა.

ზაზამ სასტარტო ხუთეულში 28 წუთი ითამაშა. ქართველმა ცენტრმა 7-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. 9 ქულასთან და ზემოთ ნახსენებ 10 პასთან ერთად ფაჩულიამ 6 მოხსნაც დააგროვა. ფაჩულიას და სხვათა გააზრებული თამაშის წყალობით მილუოკელებმა პირველი ტაიმი მოიგეს და ბოლო წუთებამდე ტოლს არ უდებდნენ მასპინძლებს, თუმცა კევინ ლავისა და კევინ მარტინის შედეგიანობით მინესოტელებმა საბოლოოდ გამარჯვების მოპოვება მოახერხეს. 13 მოგებითა და 51 წაგებით „მილუოკი“ ბოლო ადგილზეა. გასვლითი ტურნეს მორიგი გაჩერება მილუოკელებს ატლანტაში აქვთ, სადაც ფაჩულია თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ 14 მარტს ითამაშებს.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-არსენალი | 1:1 |
| ატლეტიკო-მილანი | 4:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ლესტერი | 0:3 |
| ბრაიტონი-ქპრ | 2:0 |
| დერბი-ბოლტონი | 0:0 |
| დონკასტერი-უოტფორდი | 2:1 |
| იოვილი-იფსვიჩი | 0:1 |
| მიდლსბრო-ნოტინგემი | 1:1 |
| ბლექპული-მილუოლი | 1:0 |
| ლიდსი-რედინგი | 2:4 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| კარპი-პადოვა | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**აშშ. ინდიანა უელსი**

| | |
|---|---|
| გასკე-ვერდასკო | 6:7;1:6 |
| ლოპესი-კუკუშკინი | 1:6;6:3;6:4 |
| ჯოკოვიჩი-გონსალესი | 6:1;3:6;6:1 |
| დიმიტროვი-გულბისი | 6:2;1:6;5:7 |
| ბენეტო-ტიემი | 7:6;6:3 |
| ისნერი-ლუ | 6:4;6:3 |
| პენეტა-ჯორჯი | 6:2;6:1 |
| რადვანსკა!ა-კორნე | 7:5;6:3 |
| ცობულკოვა-კვიტოვა | 6:3;6:2 |
| სტივენსი-კლეიბანოვა | 6:3;7:5 |
| ლი-ვოზნიაკი | 6:1;6:4 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა



ჩვენს საყვარელ
მიშა ქორქოლიანს
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას, სიხარულს,
სიყვარულს, წარმატებებს.
ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს.
„ახალი თაობა“

# დათო არჩვაძე ბიჭის მამა გახდა



მომღერალი დათო არჩვაძე ბიჭის მამა გახდა. ნიკოლოზ არჩვაძე 12 მარტს დაიბადა. პოპულარულ ავტორ-შემსრულებელს ვაჟიშვილი მისმა მეუღლემ, ეთუნა ფარეხელაშვილმა აჩუქა.

როგორც მომღერალმა განაცხადა:

„ყველაზე ბედნიერი ვარ. ბიჭია, ბიჭი! დაიბადა ნიკოლოზ არჩვაძე. მადლობა ჩემს სიყვარულს ეთუნას, გმირი დედობისთვის"

დავით არჩვაძისთვის ეს მეორე შვილია. მას გოგონა ჰყავს მომღერალ სოფო კუჭავასთან, რომელსაც რამდენიმეწლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაშორდა. მეორე სიყვარული დათო არჩვაძემ ეთუნასთან იპოვნა, რომელიც მისი ბავშვობის მეგობარია, თუმცა 8 წლის განმავლობაში ამერიკაში ცხოვრობდა. ეთუნა პროფესიით ფილოლოგი და უცხო ენების სპეციალისტია. წყვილმა ჯვარი ორი წლის წინ სპონტანურად დაიწერა, ღმერთის წინაშე ერთად ცხოვრების ფიცი დადო და საქორწინო მოგზაურობაშიც გაემგზავრა.

დავით არჩვაძე ანსამბლ „ქართული ხმების" წევრია. მან ბიჭებთან ერთად სულ ახლახანს 15 წლის იუბილე იზეიმა. ახალბედა მამა არაერთი გახმაურებული სიმღერის ავტორია. მან უკვე პირველი ალბომიც გამოუშვა, რომელსაც „ეს ქალაქია" უწოდა. ამბობს, რომ როგორც შემოქმედი მაქსიმალურად რეალიზებული და წარმატებულია, ამჯერად კი მის ცხოვრებაში ახალი სიხარული და ბედნიერება – პატარა ნიკოლოზი გაჩნდა.

ეკა ირემაშვილი

# ნოდარ ნათაძე: პუტინმა მთავარი იმპერიული ინტერესი წააგო"

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***თქვენი პროგნოზი რა არის?***

– ჩემი პროგნოზია: 1. მთავარი და სტრატეგიული – დასავლეთის ფლოტი დიდი შემადგენლობით შემოვა შავ ზღვაში და დადგება სტაბილურად, როგორც თავისი სტრატეგიული ინტერესების დამცველი.

***– ამერიკის ფლოტი შემოვა?***

– დასავლეთის ფლოტი ნატოს სახელით შემოვა. შავი ზღვა მოკლე ხანში ისეთივე თავისუფალი იქნება, როგორც წყნარი ოკეანე და ატლანტიკის ოკეანე. ის აღარ იქნება რუსულ-თურქული ტბა, როგორც არის დღეს.

***– ბატონო ნოდარ, მიუხედავად ყველაფრისა, დღესდღეობით რუსეთს დაკავებული აქვს ყირიმი. უკრაინის გემი ჩაძირა, მთელი სამხედრო ბაზები დაკავებული აქვს, ანუ დღესდღეობით რუსეთი გამარჯვებულია, რუსეთი წინ არის.***

– რუსეთი არ არის გამარჯვებული.

***– ისიც თქვეს, რომ დასავლეთის ეკონომიკური სანქციები რუსეთს ააღორძინებს.***

– არა, არა. ომი არ მომხდარა.

***– საქმეც ისაა, რომ ომის გარეშე დაიკავა ტერიტორია.***

– არა, ეს არ შერჩება.

***– ხომ შერჩა საქართველოში?***

– არაფერი არ შერჩენია, არ აღიარეს. როდესაც მსოფლიოში გაბატონებული ძალა, დასავლეთი, ამბობს, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორია, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს განხორციელდება. როდესაც რეალური ძალა დაუპირისპირდება ერთმანეთს, ამერიკული ფლოტი შემოვა და დადგება სტაბილურად, როგორც ნატოს ფლოტი. ეს მოხდება იმ ფონზე, რომ ამ ფლოტს ეყოლება ჰაერში ცალსახა უპირატესობის მქონე საკუთარი ავიაცია ხმელეთზე განლაგებული – რუმინეთში, ბულგარეთში, შეიძლება საქართველოსა და მოლდოვაშიც. ამიტომ იმ ფლოტს ვერავინ ვერ გააგდებს, როგორც გააგდეს 2008 წელს შემოსული ფლოტი. ჯერჯერობით, დასავლეთი ფიზიკურად თითს ვერ გაანძრევს, მაგრამ დასავლეთი არ დაუშვებს იმას, რომ მონათესავე ორ ხალხს შორის ჩადგეს მურმანის ეკალივით, გარდა იმ შემთხვევისა, ღმერთმა დაიფაროს, თუ მათ შორის არის სროლა და ურთიერთსისხლისღვრა. სისხლისღვრის შემთხვევაში გაისვრიან, სხვა შემთხვევაში არ გაისვრიან. შესაძლოა ისინი შემოვიდნენ და ყირიმის სანაპიროს პატრულირება დაიწყონ, ოდესის სანაპიროც მიაყოლონ, თუ ყირიმში გავარდა თოფი რუსეთსა და უკრაინას შორის. ამ შემთხვევაში, თუ უკრაინა სთხოვს, ნახე, რას მიშვრება და მიშველეო.

***– რა შემთხვევაში შეიძლება გავარდეს თოფი უკრაინასა და რუსეთს შორის? რუსეთს ხომ, ფაქტობრივად, ყირიმი დაკავებული აქვს?***

– უკრაინა ამ სიტუაციას ასე არ დატოვებს. რუსეთს დაკავებული აქვს მხოლოდ და მხოლოდ ქვეითებით. პატარა ტექნიკა ურევია.

***– 30 ათასი ჯარისკაცი ჰყავს რუსეთს ყირიმში.***

– კი ბატონო, ქვეითები არიან. თანამედროვე სამხედრო ძალა ყირიმში რუსეთს არ შეუყვანია.

***– თუმცა საზღვრამდე მიყვანილი ჰყავს.***

– ქვეითებზე შეუძლია თქვას რუსეთმა, რომ მისი არ არის, მაგრამ ტანკებზე ამას ვერ იტყვის.

***– ბატონო ნოდარ, ითქვა, რომ რუსეთი რეალურ მოქმედებას დაიწყებს 16 მარტიდან, მას შემდეგ, რაც ყირიმში ე.წ. რეფერენდუმი ჩატარდება, რომელიც რუსეთთან ამ ტერიტორიის მიერთებას ისახავს მიზნად. ცხადია, ამ ე.წ. რეფერენდუმში რუსები გაიმარჯვებენ. რეალურად, როგორც უნდათ, ისე გააკეთებენ.***

– თუ პუტინს გადაწყვეტილი აქვს, თავისი ვაჟკაცუნა იმიჯის გადასარჩენად წავიდეს სრულმასშტაბიან ომზე, მას ამისთვის ოპტიმალური დრო აქვს, დაწყებული 16 მარტიდან, როცა მოეწყობა ყირიმში ე.წ. რეფერენდუმი, დამთავრებული 25 მაისით, როდესაც ტარდება ახალი პრეზიდენტის არჩევნები უკრაინაში. პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ დასავლეთის პოზიცია გაძლიერდება, რადგან უკრაინას ეყოლება ოფიციალური ხელისუფლება დემოკრატიის ყველა ნორმით. მაშინ უკვე დასავლეთის პოზიცია ძლიერდება. სანამ ე.წ. რეფერენდუმი ჩატარებულია, მაგრამ არჩევნები არ არის ჩატარებული, პუტინს აქვს ოპტიმალური დრო.

***– ყირიმში არჩევნებს ვერ ჩაატარებენ.***

– სადაც პუტინი არ იქნება შესული თავისი ძალოვნებით, იქ ჩაატარებენ. ეს საკმარისი იქნება. თუ პუტინი ახლა დაიწყებს ღია სამხედრო მოქმედებას ყირიმში, იმდენად ღიას, რომ უკრაინა შესაძლებლად დაინახავს, სადღაც თოფი გაისროლოს და დასავლეთს მიმართოს, თუ ომი დაიწყო, მაშინ დასავლეთი ჯარს შემოიყვანს და დააყენებს, როგორც გამშველებელს. თუ ეს არ მოხდება, 25 მაისამდე ყველაფერი უცვლელად იქნება. 25 მაისს არჩევნები რომ ჩატარდება, შემდეგ უკვე დაიწყება დიპლომატიური დემარშები. ეკონომიკური სანქციები კი რუსეთისთვის არის ძალიან მძიმე, ასეულ და ტრილიონ მილიარდის დანაკარგზე იქნება საუბარი.

***– რუსეთს ევროპა საბოლოოდ დაუწესებს სანქციებს, როცა ეკონომიკურად გადაჯაჭვულნი არიან ერთმანეთთან?***

– ეს საინტერესო თემა. ევროპა ყველა ეკონომიკურ სანქციას დაუწესებს რუსეთს. ბრძოლაზე წასვლა ცოტა გაუჭირდება, მაგრამ მაინც წავა. მერკელი ელაპარაკა ტელეფონით. საუბარში თქვა, რომ არ არის დარწმუნებული, რომ პუტინი რეალურ სამყაროში იმყოფება, ანუ შერეკილაო. ეს იმას ნიშნავს, როცა გერმანია და რუსეთი ნატრობენ ტანდემის განახლებას, გერმანული ტვინი და რუსული რესურსი, რათა მსოფლიო კონკურენციები მოიგონ, ამ ფონზე მერკელმა თავის მოკავშირეებთან სოლიდარობის დასამტკიცებლად საჭიროდ ჩათვალა ანტირუსული რაღაც თქვას. მეორე მხრივ, მან შეინარჩუნა იმის საშუალება, რომ რუსეთს არ აწყენინოს – მან პუტინი და რუსეთი ერთმანეთისაგან გაარჩია.

***– თუ პუტინი საბოლოოდ მაინც ომს წამოიწყებს და ბირთვულ დაპირისპირებასაც არ მოერიდება, ეს რუსეთს რას მოუტანს?***

– რუსეთს ამგვარი მოქმედება დაანგრევს, მაგრამ ეს შესაძლებლობა იმიტომ ჩნდება, რომ რუსეთს ჰყავს მონოპოლიური დიქტატორი პუტინის სახით, რომელიც მზადაა, თავისი პირადი ვაჟკაცუნას სახე გადაარჩინოს თავისი ქვეყნის ხარჯზე. პუტინი პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირი რომ იყოს, ამას არ გააკეთებს. არის ასეთი პროგნოზი, რომ შესაძლებელია პუტინი არ უმიზნებდეს ყირიმს, ეს არის მხოლოდ მოსატყუებელი მანევრი, არამედ უმიზნებდეს პირდაპირ კიევს. კიევიდან რუსეთ-უკრაინის საზღვრამდე არის 168 კილომეტრი. ამიტომ, შესაძლებელია იგეგმება პირდაპირი სატანკო კოლონებით დარტყმა პირდაპირ კიევზე. სატანკო კოლონა შეტევის დროს გადის 300-დან 500 კილომეტრამდე. სწორედ ამისგან რომ დაიცვან კიევი და პუტინი შეაჩერონ არა ხვეწნით, არამედ მუშტით, ამის გამო ამერიკელებმა ჩაატარეს თავისი ამერიკელების მონაწილეობით წვრთნები პოლონეთში. ამით პუტინს ეუბნებიან, უკრაინის ჩრდილოეთ მხარეში თითი არ გაანძრიოო. პუტინს ემუქრებიან არა მხოლოდ შორეული პერსპექტივით, არამედ იმ სატანკო კოლონებზე დარტყმით.

# მერი დავითაშვილი 90 წლის გახდებოდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნისძიება გვქონდა გეგმილი. მათ შორის, 13 მარტს მას 90 წელი უსრულდებოდა და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბავშვები აპირებდნენ მასთან შეხვედრას. მოვიძიეთ ნოტები ცოტათი მივიწყებული სიმღერებისაც კი და აქტიურადაც ვემზადებოდით, მაგრამ სამწუხაროდ, გადაიდო ეს ღონისძიება. მოგეხსენებათ, ქალბატონი მერის მიერ არის დაარსებული საბავშვო მუსიკის კვირეული, რომელიც პირველი ივნისიდან 7 ივნისამდე ტარდება ხოლმე და ალბათ მაშინ მოვაწყობთ გადადებულ ღონისძიებას. ბავშვებს განწყობა ჰქონდათ მასთან შეხვედრის და ცოტა რთულია ბავშვებისთვის მის გარეშე ამ ღონისძიების ჩატარება.

– მისი სიმღერების ნოტებსაც ხომ არ გამოსცემთ?

– აუცილებლად. უკვე ვიყავი მერიის კულტურის სამსახურში, ვესაუბრე მის ხელმძღვანელობას და ისინი როგორც ყოველთვის, დადებით პროექტებზე ყოველთვის მოდიან ხოლმე. ალბათ გავაკეთებთ ქალბატონი მერის სიმღერების კრებულს, დაახლოებით 300 გვერდიანი კრებული იქნება და მასში საკმაოდ ბევრი სიმღერა შევა.

– კიდევ რა იყო დაგეგმილი მისი იუბილესთვის?

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის მიერ მერი დავითაშვილის სიმფონიური ნაწარმოებების კონცერტი იყო დაგეგმილი 27 აპრილს ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე" ფარგლებში. ესეც აუცილებლად ჩატარდება, კვირეულიც ჩატარდება, მაგრამ ერთი სამწუხარო ფაქტია, რომ ქალბატონი მერი ამ ყველაფერს თვითონ ვერ მოესწრება. ის სიხარული, სიყვარული და სითბო, რაც გვინდოდა მის მიმართ კიდევ ერთხელ გამოგვეხატა, არ დაგვცალდა.

– მან ხომ იცოდა, რომ ეს ღონისძიებები დაგეგმილი იყო?

– რა თქმა უნდა, მან ეს ყველაფერი იცოდა და ესეც გვიმშვიდებს გულს. გასაოცარი ქალბატონი იყო, ენერგიული, საოცარი გონებით, საოცარი მოსაბურე იყო, თავისი გეგმები ჰქონდა და ამ ასაკშიც კი საქმე არასოდეს ელეოდა. მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა შემოვლილი, არ არსებობს სოფელი და დაბა, სადაც ქალბატონ მერის ფეხი არ დაედგა, არ არსებობდა ეკლესია საქართველოში, სადაც მას სანთელი არ ჰქონდა ანთებული. ეს აძლევდა ძალას და სტიმულს, რომ ენერგიულად და სიცოცხლის ბოლომდე ემუშავა. მისი ქვეყნის საოცარი სიყვარული, მომავალი თაობების განუსაზღვრელი სიყვარული იყო მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა. სულ ვამბობ, რომ დედა ენის ტოლფასი შემოქმედება ჰქონდა ქალბატონ მერის. თუ გინდა ქართველად გაზარდო შვილი, უნდა „დედა ენა" ასწავლო ხომ? ქალბატონი მერის სიმღერებიც დედა ენის ტოლფასია ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში. აუცილებლად ქალბატონი მერის სიმღერებით უნდა აიდგას ფეხი ბავშვმა მუსიკალურ სამყაროში. ჩემთვის მუსიკაში „დედა ენა" მერი დავითაშვილის შემოქმედებაა და ამაში ალბათ არავინ შემედავება. სულ ვამბობ, რომ ქალბატონი მერი იყო ქართული მუსიკის დედოფალი, როგორც ქართულ პოეზიას ჰყავს დედოფალი ანა კალანდაძე, ასევე ქართული მუსიკის დედოფალია ქალბატონი მერი. ჩემი მერი დეიდა, ყველას მერი დეიდა, ყველა ასე ეძახდა სიყვარულით, იმიტომ რომ ის ყველასი იყო, გასაოცარი ადამიანი იყო. ხალხი რომ მხვდება თვალცრემლიანები იხსენებენ მას და ეს ლოგიკურია. მას ყველა და ყველაფერი უყვარდა, ამიტომ გვინდა მის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები ეტაპობრივად გაიმართოს. ეს ყველაფერი მისი 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით უკვე იყო დაგეგმილი, ეს ახლა კი არ გამოგვიგონია. გულს ისიც გვიხარებს, რომ მან იცოდა ამ ყველაფრის შესახებ. მისი ვარსკვლავის გახსნაც იყო დაგეგმილი, მაგრამ... არა უშავს, ზოგის ვარსკვლავი მიწაზეა, ქალბატონი მერის ვარსკვლავი კი საქართველოს ცაზე იკაშკაშებს, გაგვანათებს და ყველასთვის იქნება გაბრწყინებული. ეს იყო გამორჩეული ქალი კომპოზიტორი, რომელსაც ნამდვილად გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ მუსიკალურ სამყაროში. უმეტესობა მას მხოლოდ საბავშო სიმღერებით იცნობს, თუმცა მისი შემოქმედება გაცილებით დიდია. ოპერებს წერდა, სხვადასხვა ნაწარმოებებს ქმნიდა, ამიტომ მისი შემოქმედება ნამდვილად დიდი და დაუვიწყარია.

ეკა ირემაშვილი

# ოთარ იოსელიანის ფილმები მექსიკაში აჩვენეს

ცნობილი ქართველი რეჟისორის ოთარ იოსელიანის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მისი ფილმები მექსიკის ქალაქ მეხიკოში აჩვენეს. ღონისძიებები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო. პროექტი ინიცირებულია „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის" მიერ.

ოთარ იოსელიანის ფილმების ჩვენება მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა. ფესტივალის მეოთხე გამოშვების ინაუგურაციაზე ქართველი რეჟისორის ფილმების რეტროსპექტივა ყველაზე წარმომადგენლობითი იყო. სულ ნაჩვენები იქნა თერთმეტი სრულმეტრაჟიანი და სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმი. მათ შორის, ოთარ იოსელიანის ისეთი ცნობილი ნამუშევრები, როგორიცაა „გიორგობისთვე", „იყო შაშვი მგალობელი", „პასტორალი", „შანტრაპა" და სხვა ნამუშევრები.?პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს საერთაშორისო კულტურული პრეზენტაციის პროგრამიდან „ქართული სეზონი" ფარგლებში.

ეკა ირემაშვილი

## h3xცეx3ლბ

**შვეულად:** 1. სამშენებლო საქმეში გამოყენებული მკვრივი ბამბის ქსოვილი; 2. ზომიერი კლიმატური ზონის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 4. ქალის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა; 5. აფრიკისა და აზიის ტროპიკებში გავრცელებული ნახევარმაიმუნი; 6. ისტორიული ქალაქი მესოპოტამიაში; 7. რიჰარდ ვაგნერის ოპერა; 10. ერთუჯრედიანი, უმარტივესი ცხოველი; 12. ფრანგი კომპოზიტორი; 13. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 16. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. სოროში ბინადარი მღრღნელი ცხოველი; 18. ველოტრეკი, გზატკეცილის შიგნითკენ დახრილი მონაკვეთი; 19. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 21. პურეული მცენარე.

**თარაზულად:** 3. მთავრობის წევრი; 8. პარალელურ ფირფიტებიანი ფანჯრის შტორი; 9. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 11. გემის, თვითმფრინავის აცდენა კურსიდან ქარის ან წყლის დინების გავლენით; 12. არტურ რუბენშტეინის ოპერა; 14. პროვინციის მმართველი ინდოეთში ძველად; 15. გემის ოფიციანტი; 20. მონასტერი ახალციხის რაიონში; 22. გადასახადებისაგან განთავსებული ყმა ძველად საქართველოში; 23. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 24. კოსმოდრომი იაპონიაში; 25. „ვეფხისტყაოსანი"-ს დამსურათებელი უნგრელი მხატვარი; 26. ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული რელიგია; 27. შოკოლადის ხე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## ობყფ ყx3ტ3ობ უფ3xმეტ.ყტ,ეჯბ h3xცეx3ლტ,ბც გფცე[ტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ბომარშე; 2. კლონი; 3. „კოხინორი"; 4. ანგარი; 5. ყვარელი; 6. დიოგენი; 11. გნოლი; 13. ბოსტონი; 14. ანდერსენი; 15. კორელაცია; 17. ბეკონი; 18. „კრისტი"; 19. ლეკი.

**თარაზულად**: 7. „ბოჟოლე"; 8. როინაშვილი; 9. „საბენა"; 10. პიკადორი; 12. სენბერნარი; 14. ამიაკი; 16. აბრსკილი; 18. კადასტრი; 20. სიდრი; 21. ილი; 22. პოინტერი; 23. ნიცა; 24. „ქიმერიონი".

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. „სქური"; 2. ისინდი; 4. რუბენსი; 5. სენსეი; 6. სერფინგი; 7. ლაჟვარდი; 10. ანოდი; 12. გრანიტი; 13. ბაიკერი; 16. პარტია; 17. პარსეკი; 18. შატილი; 19. მუთაქა; 21. ნარდი.

**თარაზულად**: 3. ექსპრესი; 8. ტენორი; 9. „ბონბონერა"; 11. ჟენევა; 12. გინესი; 14. გრანდი; 15. წყალბადი; 20. ტუნიკა; 22. ბეთანია; 23. ბუმი; 24. ტრაქტატი; 25. თაჯა; 26. ჰაკერი; 27. ჩაქვი.

## განცხადება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი **ტექინფორმი** აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

**ა) ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილება**

- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 0.5 საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი – 0.5 საშტატო ერთეული;

საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექინფორმში, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2014 წლის 12 მარტიდან 11 პრილის 17.00 საათამდე.

მისამართი: 0179, თბილისი, კოსტავას ქ. 47, მე-6 სართული, ოთახი 18.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

ტელ: 2 335122, 2 335315.

პასუხისმგებელი პირი – მეგი თათარაშვილი

# ინდოელმა მაოისტებმა 16 პოლიციელი მოკლეს

ინდოეთის მთავრობა იტყობინება, რომ მეამბოხე-მაოისტებმა სულ მცირე 16 პოლიციელი მოკლეს შტატ ჩხატისგარჰში. პატრული მეამბოხეების ჩასაფრებაში მოხვდა.

მეამბოხე-მაოისტები, იგივე – ნაკსალისტები, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ინდოეთში უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია მოქმედებენ. ისინი კომუნისტური სახელმწიფოს შექმნას ითხოვენ, ასევე – სამუშაო ადგილებსა და გუხა, რომელიც ბანგალორში მოღვაწეობს, – მაოისტები ამ გრძნობებს მახინჯი ფორმით გამოხატავენ. პრობლემა სერიოზულია და თავისით არ გაქრება".

სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ ინდოეთი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია, მაგრამ ამავდროულად საზოგადოებაში არსებული დიდი უთანასწორობაც გააღრმავა. მაოისტები მთავრობას ნედ-



მიწებს ღარიბებისათვის.

მაოისტები ამბობენ, რომ ინდური საზოგადოების დაბეჩავებული ნაწილის წარმომადგენლები არიან, განსაკუთრებით მკვიდრი ტომებისა, სადაც ქვეყნის მასშტაბით სიღარიბის, წერა-კითხვის უცოდინრობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია. ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი და ზოგიერთი პოლიტიკოსიც კი ერთ დროს მათ მისწრაფებებს თანაუგრძნობდა, მაგრამ მაოისტების მიერ განხორციელებული ძალადობის მასშტაბის ზრდამ ისინი აიძულა, რომ შეეცვალათ საკუთარი მოსაზრება იმის თაობაზე, უნდა შეეგუოს თუ არა სახელმწიფო ამ ჯგუფის არსებობას.

„ყველაფრის სათავე უუფლებობისა და სიღატაკის შეგრძნებაა" – ამბობს ცნობილი ისტორიკოსი რამაჩანდრა ლეულის მოპოვების მიზნით ადგილობრივი ტომების მათი მიწებიდან აყრაში ადანაშაულებენ და აწყობენ დივერსიებს გზებზე, ხიდებსა და გაზსადენზეც კი.

მაოისტების პოლიტიკური მიზნები მიუღწევადი ჩანს, მაგრამ ანალიტიკოსები გვაფრთხილებენ, რომ ამ მოძრაობის აღმოფხვრა არცთუ ისე ადვილი იქნება.

აქ, ჩხატისგარჰშის შტატში, მაოისტები ათასობით კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორიას აკონტროლებენ და მეზობელ შტატებშიც გადადიან, როგორიცაა ორისა, ბიჰარი, ჯარკჰანდი და მაჰარაშტრა. ეს შტატები ეგრეთ წოდებულ „წითელ დერეფანს" შეადგენენ, რომელიც ინდოეთის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავს. ძალადობას თითქმის ყოველდღიურად აქვს ადგილი.

# ბრიტანელების 40% ევროკავშირის დატოვების მომხრეა



დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტური პარტიის ლიდერმა ედ მილიბენდმა განაცხადა, რომ თუ 2015 წლის არჩევნებში ლეიბორისტული პარტია გაიმარჯვებს, 2020 წლამდე ბრიტანეთის ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების ალბათობა ძალიან მცირე იქნება.

შეგახსენებთ, ბრიტანეთის ამჟამინდელმა პრემიერმა დევიდ კამერონმა უკვე განაცხადა, რომ მისი, კონსერვატული პარტიის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში რეფერენდუმი 2017 წელს გაიმართება.

გამოკითხვების თანახმად, დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებას მოსახლეობის 40% უჭერს მხარს. იგივე რაოდენობა კი ორგანიზაციის დატოვების წინააღმდეგია.

„როიტერის" ინფორმაციით, დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა ჯორჯ ოსბორმა ევროკავშირის პარტნიორებს განუცხადა, რომ ევროკავშირის ხელშეკრულებები „დანიშნულებას არ პასუხობს" და რეფორმების განხორციელების გარეშე დიდი ბრიტანეთი გაერთიანებას დატოვებს.

ოსბორნის განცხადებით, აუცილებელია ამ შეთანხმებების შეცვლა, რათა ის ქვეყნებიც თანაბარად იყოს დაცული, რომლებიც მაგალითად „ევროს არ არიან მიერ მიერთებულნი".

ევროკავშირის, ცხადია, არ სურს დიდმა ბრიტანეთმა გაერთიანება რომ დატოვოს, თუმცა არც იმ რეფორმების განხორციელებას ჩქარობს, რომელსაც ეს ქვეყანა მოითხოვს. ცოტა ხნის წინ ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ განაცხადა, რომ ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად დიდი ბრიტანეთი, წესების ისეთ ცვლილებას ითხოვს, რომელიც მხოლოდ მათ „ინტერსებს პასუხობს".

„თუ იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროზონაში არ ვართ გაწევრინებული, არ შეგვეძლება საკუთარი ინტერესების დაცვა, მაშინ ორი არჩევანი რჩება-ან ევროსთან მიერთება, ან ევროკავშირის-დატოვება" – განაცხადა ოსბორნმა.

„გარდიანის" ცნობით კი, იუსტიციის, ფუნდამენტური უფლებებისა და მოქალაქეობის საკითხებში ევროკავშირის კომისარმა ვივიენ რეგინგმა კემბრიჯის უნივერსიტეტში გამოსვლისას განაცხადა, რომ „ევროზონა ევროპის შეერთებული შტატები უნდა გახდეს".

„ჩემი აზრით, ევროზონა ევროპის შეერთებული შტატები უნდა გახდეს. უისტონ ჩერჩილის (ევროპის შეერთებული შტატების იდეა ჩერჩილმა წამოაყენა) მსგავსად, მე დარწმუნებული ვარ, რომ დიდი ბრიტანეთი მისი ნაწილი არ იქნება, თუმცა ახლო მოკავშირე იქნება ისეთ საკითხებში, როგორიც არის ერთიანი ბაზარი, ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა და უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკა" -აღნიშნა რედინგმა.

# არ დაივიწყოთ სირია"



გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ხელმძღვანელის ანტონიო გუტერესის განცხადებით, სააგენტო, ცხადია მზად უნდა იყოს უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით, თუმცა მისი თქმით, ამ დროისათვის უდიდეს პრობლემას სირია წარმოადგენს. როგორც გუტერესი აღნიშნავს, თუ საერთაშორისო საზოგადოება სირიიდან ყურადღებას გადაიტანს ეს „ტოტალური კატასტროფა" იქნება.

„იმედი მაქვს, რომ ისინი, ვისაც ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება მსოფლიო საქმეებში, გაიგებენ, რომ სირიის დავიწყება ტოტალური კატასტროფის ტოლფასია" -აღნიშნა გუტერესმა.

გუტერესის თქმით, სააგენტო უკვე ემზადება „ყირიმიდან შესაძლო ლტოლვილთა ნაკადისათვის" და უკრაინაში ვითარების დასაკვირვებლად ჯგუფიც გაიგზავნა.

„ჩვენ საკუთარ თავს ხალხის ყველა ტიპის გადაადგილებისათვის ვამზადებთ, რომელიც შესაძლოა მოხდეს. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს არ მოხდება" - აღნიშნა სააგენტოს ხელმძღვანელმა ყირიმში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

ამ ფონზე, სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი ორი თვის განმავლობაში პირველად საჯაროდ გამოჩნდა და იმ სირიელებს შეხვდა, რომლებსაც ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტის გამო საკუთარი სახლების დატოვება მოუწიათ.

სახელმწიფო სააგენტო „სანას" ცნობით, ასადი ქალაქ ადრაში ჩავიდა, რომელიც დამასკოდან 20 კმ-ში მდებარეობს. სირიაში სამოქალაქო ომის 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც 140 000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

# მალაიზიურ ბოინგზე" მოპარული პასპორტებით ირანის მოქალაქეები მგზავრობდნენ

„ბი-ბი-სის" არაბული რედაქციის ინფორმაციით, გაუჩინარებულ მალაიზიურ „ბოინგ 777-ზე" მოპარული პასპორტებით ირანის მოქალაქეები მგზავრობდნენ. როგორც მალაიზიის სამართალდამცავები აცხადებენ, ირანელ მოქალაქეებს არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირი არ ჰქონდათ. მათივე ინფორმაციით, ირანელებს მოპარული პასპორტები ევროპაში ემიგრაციისთვის სჭირდებოდათ.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაუჩინარებულ თვითმფრინავში მოპარული პასპორტებით მგზავრობდნენ ცნობილი 9 მარტს გახდა.

ორი დღის წინ გაუჩინარებულ „ბოინგის" ძებნა გრძელდება. მოკვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ნავთობის გუშინ აღმოჩენილ კვალს, არანაირი კავშირი არ აქვს თვითმფრინავთან.

სამძებრო სამუშაოებს ჩინეთი, ტაილანდი, სინგაპური, მალაიზია და ფილიპინები ერთობლივად ატარებენ. ჯერჯერობით მათ ვერანაირი კვალი ვერ აღმოაჩინეს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მგზავრების ზოგიერთმა ნათესავმა მგზავრთან ტელეფონის ზარის გაშვება შეძლო, თუმცა არავინ უპასუხა. წყალში ჩავარდნის შემთხვევაში, წესით მობილური ტელეფონი ვერ უნდა გადარჩენილიყო.

გამოძიება არ გამორიცხავს თვითმფრინავის გატაცების სცენარსაც. ამას ისიც ამყარებს, რომ თვითმფრინავში, როგორც აღმოჩნდა, ორ მგზავრს მოპარული პასპორტები ჰქონდათ.

ასეთი უცაბედი გაუჩინარება ექსპერტებს საგონებელში აგდებს. გამოცდილი პილოტები და გამომძიებლები ამ შემთხვევას აღწერენ როგორც „იდუმალი" და „ამოუცნობი".

როგორც წესი, ავიაკატასტროფა აფრენის ან დაფრენის დროს ხდება. როცა თვითფრინავი გარკვეულ სიმაღლეზე მიფრინავს, ძალიან იშვიათად ხდება „კატასტროფის მსხვერპლი". თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიები უკვე ყველა შემთხვევაზე რეაგირების საშუალებას იძლევა.

ძრავის გათიშვის შემთხვევაში, თვითფრინავის ეკიპაჟს დაცემამდე საკმარისი დრო რჩება იმისათვის, რომ დედამიწაზე შესაბამისი სიგნალი გამოაგზავნოს.

თუკი პილოტის კაბინაში ჰერმეტულობა დაირღვევა ფანჯრის დაზიანების ან გატეხვის გამო, მეტიც, პილოტები თუ ჟანგბადის უკმარისობის გამო გაითიშებიან, თვითფრინავი სიმაღლეს მაინც არ კარგავს, ის აგრძელებს ფრენას და დედამიწაზე შესაბამისი სიგნალი იგზავნება.

თანამედროვე თვითფრინავები აღჭურვილნი არიან სპეციალური ავარიული კოდით იმ შემთხვევაში, თუკი მათ გატაცებას ტერორისტები შეეცდებიან. ამ კოდით ისინი ნებისმიერ სხვა თვითმფრინავს უკავშირდებიან და კატასტროფის შესახებ ატყობინებენ.

ასე რომ, ყველა შემთხვევაში დედამიწამდე კატასტროფის შესახებ სიგნალი უნდა მოვიდეს.

რეისი „ემჰაშ370", რომლის ბორტზეც 239 მგზავრი იმყოფებოდა კუალა ლუმპურდან პეკინში მიფრინავდა. აფრენიდან 2 საათში ის რადარებიდან გაქრა. ვიეტნამის საზღვაო ძალებმა თავდაპირველად განაცხადეს, რომ თვითმფრინავი ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში ჩავარდა. თუმცა, სამაშველო ოპერაციამ შედეგი არ გამოიღო.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



### დიმა ცანავას ხსოვნას

13 წელი გავიდა იმ დღიდან, როცა შენი სიცოცხლე მოულოდნელად, 13 მარტს, ჩვენგან შორს დასრულდა. ჩემთვის ყველაზე ლამაზმა წლებმა უსიხარულოდ და ენით აუწერელ ფიქრში გაიარა. არაფერს ვამბობ უშენოდ დედას ტკივილიან და მუდამ ცრემლით სავსე ცხოვრებაზე, შენი ბაჩანას გამოუთქმელ, ჩუმ დარდზე. მამი, შენ მარტო შენს ოჯახს და ახლობლებს კი არ დააკლდი, არამედ სადაც კი ფეხი დაგიდგამს, დღემდე ყველა სიყვარულითა და სითბოთი გიხსენებს. მაინც როგორ იცხოვრე ასე, რომ ამდენი ადამიანის გულწრფელი სიყვარული დაიმსახურე, შენს გვერდით ხომ ბევრი ამაყად გრძნობდა თავს. ჩვენ, მე და ბაჩანას მთელი ცხოვრება საგზლად გაგვყვება შენი კაიკაცურობის მაგალითები.

მამი, არ ვიცი, შენ გარეშე ცხოვრება როგორ შევძელი, ტკივილმაც დამასუსტა, მაგრამ ვერ დამაბეჩავა, პირიქით, სულიერად უფალმა კიდევ უფრო გამაძლიერა. სიამაყის გრძნობით ვივსები, როცა ჩემთვის უცხო ადამიანებიც კი შენს თავს რომ მამსგავსებენ, ოღონდ შენ ბევრად უფრო ხალისიანი იყავი და ირგვლივ მყოფთ სინათლით ავსებდი. შენ გვერდით ყოფნა ზეიმი იყო.

რომელი ერთი გავიხსენო? პირველი – გასაოცარი იუმორის ნიჭი გქონდა, შენ მოყვასი ხალხისათვის იყავი გაჩენილი, დაუფიქრებლად უკანასკნელიც კი შეგეძლო გაგეღო გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანისათვის.

წახვედი კი არა ზეცაში ამაღლდი – ჩვენ ასე გვჯერა, ახლა ეს წყეული 13 მარტი, ჩვენთვის კიდევ უფრო გაუსაძლისია, რადგან შენთვის და ჩვენთვის საყვარელი ვაჟკაცის, კოკას გარდაცვალება დაემატა, მოულოდნელად ბოროტმა ძალამ ხელიდან გამოგვაცალა.

დედას მწარე ცრემლი ცხრა პირ მიწას გაალღობს.

უფალს შევთხოვ, ნათელში იყოს შენი სული, ჩემო საყვარელო მამა, 13 მარტს წმინდა სანთლებს დაგინთებთ და როგორც შენ გეკადრება, ისე ღირსეულად მოგიგონებთ.

შენი გვანცა

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ!& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

ხუთშაბათი
13 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ის ჩემზე უარესია"** 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" 18.00 ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** 19.15 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** 22.00 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"კინგის გამოსასყიდი"** 02.10 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 04.10 "შემოძახილი" (გ/ჩვ) 04.40 "არენა" (გ/ჩვ) 05.40 მხ/ფ **"მეხისმტყორცნელი და ვინეტუ"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "როდესაც ჩინეთი ევროპას იპყრობს" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 01.55 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 4 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 ქ.მხ/ფ **"გაიღიმეთ"** 00.00 მხ/ფ **"ზღვარზე"** 02.05 მხ/ფ **"გოსფორდ პარკი"** (მ. სმიტი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.)

06.10 დოკ/ფ "პირველად იყო სიტყვა" 07.00 პირველშეწირული წირვის განმარტება(მამა ბიძინა გუნია) 07.15 დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"ელისო"** 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.30 კონცერტი - აღდგომიდან ამაღლებამდე 17.20 მრავალთათვის საკეთილო - მერაბ ელიოზიშვილი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 "პორტრეტები" 20.10 მოკ./ფ. **"უსახელო უფლისციხელი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 ტეთრიდან თეთრამდე 21.30 დოკ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი 22.25 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "სამშობლო ხარ ჩემი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "რბოლა" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 შოუ ,,ოთხი ოთხზე" (გამ.) 14.35, 1.45, 4.30 NX სპიკერი 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 marti

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,7387 | ევრო — 2,4121 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8956 | 100 რუსული რუბლი — 4,7949 |

## ამინდის პროგნოზი 13 მარტისთვის







**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, გახარებული ხართ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **სასწორი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — არ აყვეთ პროვოკაციას, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **მერწყული** — იმიჯის შეცვლა კარგია, წარმატება გარანტირებული გაქვთ. **თევზები** — თქვენი საქმე კარგად მიდის, ამ დღეს დიდი ხანია ელოდით.

უბცეჰდტ,ს ,ტცყბტჰ ცქტს=

## h3xცდx3ლბ ფ

**შვეულად:** 1. ობობას მეორე სახელწოდება; 2. „სამი მუშკეტერი"-ს პერსონაჟი; 3. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 4. ზანგისა და თეთრკანიანის ქორწინების შთამომავალი; 5. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 6. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული სახელწოდება; 11. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი; 13. ზამთრის თვე; 14. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 15. ძველებური რუსული ოქროს ფული; 17. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 18. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში.

**თარაზულად:** 7. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 8. ყალბი, საეჭვო დებულებების მტკიცება სხვადასხვა ხრიკებით; 9. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 10. ხიდის მოაჯირი; 12. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული სუფრის ჯიში; 14. დაბალი დგომი სათხილამურო სპორტში; 16. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 18. ნიადაგის დასამუშავებელი მანქანა; 20. პოპულარული ტანსაცმელი; 21. ხელზე მოსამსახურე ბიჭი; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 23. აზრი, ჩანაფიქრი; 24. გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი სამხერდო-საზღვაო ფლოტში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## ეკა კვალიაშვილი ჟურნალისტებს ემუქრება



მომღერალი ეკა კვალიაშვილი ჟურნალისტებს ემუქრება. როგორც ჩანს, ხელოვანი დაღალა მისი და მისი ოჯახის მიმართ დაუსრულებელმა ინტერესმა და იძულებული გახდა მასმედიის წარმომადგენლებს დამუქრებოდა:

„ახლა კარგად მომისმინეთ ქართველო ჟურნალისტებო, არ მაინტერესებს ახლობლები და უცნობები, არ გაბედოთ, არც ჩემთან დარეკვა და ინტერვიუს თხოვნა და სხვებსაც გადაეცით! მე ამ საშინელ პროვინციალიზმ-არაპროფესიონალიზმში, აღარ მსურს საერთოდ ცხოვრება და მოღვაწეობა, ამის მერე, ჩემი ყველა ღონისძიება იქნება დახურული, ვერ მიიღებთ ჩემს ინტერვიუებს, ვერ ელირსებით ჩემთან საუბარს და ჩემს სახლში და ღონისძიებაზე მოხვედრას, ფეხზე მკიდია თქვენი გაშუქებული ყველაფერი, გააპიარეთ, ვისაც პიარი სჭირდება, მე ამ ქვეყანაში ისედაც ბევრი სიკეთე გავაკეთე, თუნდაც ჩემი სიმღერით! საკმარისია, ყელში ამოხვედით! არ გაბედოთ არც ჩემი ხსენება, არც დარეკვა და არც რაიმეს დაწერა! ჩემო ნაცნობო და კარგო ჟურნალისტებო, თქვენმა, კოლეგებმა, გაგიფუჭეს თქვენც რეპუტაცია, აღარ მაინტერესებს! ყველა ერთია ჩემთვის," — აცხადებს მომღერალი.

ეკა ირემაშვილი

## მერი დავითაშვილი 90 წლის გახდებოდა

ეკა ირემაშვილი

კომპოზიტორი მერი დავითაშვილი 13 მარტს 90 წლის გახდებოდა. ამ მნიშვნელოვანი იუბილეს აღნიშვნას საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი მრავალფეროვანი ღონისძიებებით გეგმავდა, თუმცა იუბილემდე 25 დღით ადრე, კომპოზიტორი გარდაიცვალა. ხელოვანი ქვაშვეთის ტაძრიდან გამოასვენეს და საბურთალოს პანთეონში დაკრძალეს. როგორც ჟურნალ „მუსიკის" რედაქტორმა მზია ჯავარიძემ აღნიშნა:

„ქართველმა მუსიკის მოყვარულებმა უკანასკნელ გზაზე გააცილეს ქართული საბავშვო მუსიკის კლასიკოსი, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი მერი დავითაშვილი, რომლის სიმღერებზეც არაერთი თაობა გაიზარდა. თუმცა მერი დავითაშვილი მხოლოდ პოპულარული სიმღერების ავტორი არაა. დაკრძალეს კომპოზიტორი მერი დავითაშვილი, კომპოზიტორი, რომლის სიმღერებზე სულ ცოტა სამი თაობა აღიზარდა, მათ შორის, ჩვენი მინისტრი და მისი მოადგილეებიც. გამაგებინეთ, სამინისტროს მაღალჩინოსნებს არ ეკადრებოდათ დაკრძალვაზე დასწრება? ვასასიც კი, რომელმაც ნოდარ გაბუნიას დაკრძალვაზე ბრძანა, რომ ბატონი ნოდარი ბეთჰოვენის 32 სონეტს უკრავდაო და ბატონმა ბიძინამ ჩვეული იუმორით ჩაილაპარაკა, მგონი შექსპირის დაკრძალვაზე მოვხვდით და ის დროა წავიდეთო, ვალდებულად ჩათვალა თავი ყოფილიყო ნოდარ გაბუნიას დაკრძალვაზე, ამდენი მაინც ესმოდა. გასაგებია რომ გიზი ამირეჯიბის, ნოდარ ანდღულაძის და იოსებ კეჭაყმაძის შემოქმედებაზე აღზრდი-



ლები არ არიან, მაგრამ „ეს საწყალი კურდღელი" ხომ მაინც უმღერიათ საბავშვო ბაღში?!"

კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე კახა ცაბაძე აღნიშნავს, რომ ქალბატონმა მერიმ სიცოცხლეშივე იცოდა იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც მის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით იყო დაგეგმილი.

კახა ცაბაძე, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე:

— ქალბატონი მერის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ღო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ვებ ელისის თასი თბილისშია

სულ ცოტა დრო რჩება 2014 წლის ევროპის ერთა თასისა და 2015 წლის მსოფლიო თასის ევროპული საკვალიფიკაციო რაუნდის ფინალურ მატჩამდე — საქართველო-რუმინეთი.

მატჩი 15 მარტს მიხეილ მესხის სტადიონზე, თბილისის დროით 17:00 საათზე გაიმართება. ბილეთები 10 მარტიდან ყოველდღიურად იყიდება მესხის სტადიონის სალაროებში. ბილეთების შეძენა 11:00 საათიდან 19:00 საათის ჩათვლით არის შესაძლებელი და მათი ფასი 3 და 5 ლარს შეადგენს.




მატჩის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაგბის საერთაშორისო საბჭოსა და მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, თბილისში სარაგბო სამყაროს უმთავრესი ტროფი — ვებ ელისის თასი ჩამოიტანეს.

ცხადია რაგბის ქომაგებს ძალიან დიდი სურვილი ექნებათ რაგბის მსოფლიო თასის ნახვისა და ფოტოს გადაღების. აქედან გამომდინარე, გაწვდით ვებ ელისის თასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განრიგს.

**13 მარტი:** 10:00 საათიდან 10:25 საათამდე, თასის ნახვა და შესაბამისად ფოტოების გადაღება შევარდენის სანაკრებო ბაზაზე იქნება შესაძლებელი. 10:30 საათზე კი დაიწყება ბორჯღალოსნების ღია ვარჯიში, რომელზეც მედია საშუალებების წარმოადგენლებს ფოტო-ვიდეო გადაღების წარმოება დაწყებიდან 10 წუთის განმავლობაში შეეძლებათ.

### ჯაპიტნის ვაhჯიში

**14 მარტი:** მატჩამდე ერთი დღით ადრე გუნდები, მესხის სტადიონზე ტრადიციულ კაპიტნის ვარჯიშსა და წინა სამატჩო პრესკონფერენციებს გამართავენ, რომელზეც ასევე იქნება შესაძლებელი ვებ ელისის თასის ნახვა

რუმინეთის ნაკრების ვარჯიში 15:00 საათზე დაიწყება, ხოლო პრესკონფერენციას კი 16:15 საათზე გამართავენ;

ბორჯღალოსნების პრესკონფერენცია 16:30 საათზე დაიწყება, ხოლო ვარჯიშს 17:00 საათზე დაიწყებენ. მედია საშუალებების წარმომადგენლებს ორივე საქართველოსა და რუმინეთის ნაკრების გუნდების კაპიტნის ვარჯიშისას ფოტო-ვიდეო გადაღება შეეძლებათ პირველი 15 წუთის განმავლობაში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჩინეთის, ისრაელისა და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი

ბიჭიკო ასკურავა



სწრაფად, ეფექტურად, უმტკივნეულოდ, ქირურგიული ჩარევისა და თაბაშირის გარეშე მკურნალობს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ამოვარდნილობას, მენისკს, პოდაგრას, ოსტეოქონდროზსა და ძვლის სხვა დაავადებებს.

მსოფლიოს ორთოპედიის უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

თბილისი, ლესელიძის ქ. №25 /ივერიის ქ. №5
ტელ.: 299 96 94; 298 86 84; 298 79 95
მობ.: 577 41 19 11
E-mail: askurava@hotmail.com

